საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 12 ოქტომბერი. 2018 წ. №203 (8604) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

გაიქცა და წაიღო თავისი ბოღმითა და სიბილწით სავსე სული და სხეული

③ სააკაშვილი – შტრიხები პორტრეტისთვის, მათთვის, ვისაც ძალიან მოენატრა

საქართველოსთვის ახალი დიდგორი იწყება!

იხ. 2 გვ.

ბევრი რამ გაკეთდა წინა წლებში, დღეს საქართველო სტაბილური ქვეყანაა, მაგრამ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რომ კავკასიაში, ევროპაში, მსოფლიოში ჩვენმა ქვეყანამ თავისი ადგილი დაიბრუნოს. არ უნდა დავიჯეროთ, რომ რახან საქართველო პატარა ქვეყანაა და, მით უმეტეს, ბევრი ჩვენი მოქალაქე საზღვარგარეთაა წასული, ის ვერ მოიპოვებს თავის ადგილს მსოფლიო რუკაზე.

ლევან ყიფიანი
სპორტის ყოფილი მინისტრი

„მაღალ-ჩინოსნური გამოძალვა“ თუ ბინძური ცილისწამება? ⑤

გაგა ოქუაშვილი
და ომეგა ჯგუფის დამფუძნებელი

ვის ანდობენ საკუთარ კეთილდღეობას ძლიერნი ამა ქვეყნისანი? ⑪

ამბავი კაცისა, რომელმაც საკუთარ სახლში ⑧ დაიძინა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაიღვიძა...

საწვავის გაძვირების გამო მოსახლეობა დაზარალდა ⑦

შესაძლებლობა გეძლევათ, უცხოეთში აღებული მართვის მოწმობები შეცვალოთ

რა ადგილი უჭირავთ ეთნიკურ უმცირესობებს საპრეზიდენტო კანდიდატების გულსა და სულში? ④

ყოველწლიურად საქართველოში, დაახლოებით, 900 000 ტონა ნარჩენი წარმოიქმნება! ⑦

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

თამარ ჩუგოშვილი: რუსეთი უნდა დარჩეს ევროსაბჭოში!

სტრასბურგში ვიზიტით მყოფი პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელის, თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, ბოლო პერიოდში საკმაოდ დაიძაბა ურთიერთობა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეასა და მინისტრთა კომიტეტს შორის და არის პროცესები, რომელიც აწუხებს საპარლამენტო ასამბლეის წევრებს.

— არავის უნდა, რომ რუსეთი გავიდეს ევროსაბჭოდან, რადგან თუ ეს ასე მოხდება, მასზე აღარ გავრცელდება სტრასბურგის სასამართლოს მოთხოვნები. ჩვენ გვინდა, რომ რუსეთი დარჩეს ევროსაბჭოში იმიტომ, რომ სტრასბურგის სასამართლოს, როგორც მექანიზმის გამოყენება შეგვეძლოს რუსეთის წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ საკმაოდ დიდია ინტერესია, რომ რუსეთი იყოს საბჭოს წევრი და მათ შორის სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები რუსეთზე ვრცელდებოდეს, მაგრამ რუსეთმა უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები და მათ შორის, უნდა გადაიხადოს საწევროც. ჯერჯერობით ის არღვევს ამ პირობებს და თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა, რაღაც მომენტში, დადგეს მისი გარიცხვის საკითხი, თუმცა ჩვენი საერთო ამოცანაა, რომ რუსეთმა დაიწყოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება“, —აღნიშნა თამარ ჩუგოშვილმა.

არაბთა გაერთიანებულ საემიროებთანაც ვმეგობრობთ...

საქართველოს ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია საქართველოში არაბთა გაერთიანებული საემიროების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ესა აბდულა ალ ბაშა ალ ნაიმის შეხვდა. ალ ნაიმი არაბთა გაერთიანებული საემიროების პირველი რეზიდენტი ელჩია საქართველოში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ელჩს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

მხარეებმა საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებს შორის საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის სფეროებში თანამშრომლობის განვითარებაზე ისაუბრეს.

გიორგი გახარიამ არაბთა გაერთიანებული საემიროების ელჩს ესა აბდულა ალ ბაშა ალ ნაიმის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნო.

აგრარული თანამშრომლობა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დირექტორს პეტერ ვიბლერს და სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ლევან დავითაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დირექტორს მადლობა გადაუხადა აგრარული დარგის განვითარებაში მხარდაჭერისთვის.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, კონსოლიდირებული სამინისტროს ფარგლებში, აქტიურად გაგრძელდება თანამშრომლობა აგრარული და გარემოსდაცვითი მიმართულების პროექტებზე. ლევან დავითაშვილმა ყურადღება ერთიანი მენეჯმენტის ქვეშ პროექტების სწრაფი და ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობაზე გაამახვილა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო კოოპერაციული მეურნეობების განვითარებისა და სატყეო სექტორში გატარებული რეფორმის საკითხებს, ასევე, ნარჩენებისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის კუთხით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობის მნიშვნელობას.

შეხვედრაზე პეტერ ვიბლერმა სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებულ პროექტებს წარმატებული უწოდა და აღნიშნა, რომ USAID მომავალში კვლავ განაგრძობს საქართველოს მხარდაჭერას სოფლის მეურნეობისა და გარემოსდაცვითი მიმართულებით.

საქართველოსთვის ახალი დიდგორი იწყება!

ეს არჩევნები ბრძოლაა არა მხოლოდ კონკურენტებს შორის, არამედ ბრძოლაა დიდგორის, გადამწყვეტი ბრძოლაა სტაბილურობისთვის, მშვიდობისთვის, — განაცხადა „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა საპრეზიდენტო კანდიდატმა თეთრიწყაროში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე და აღნიშნა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ის ქვეყანაში სტაბილურობის გარანტი იქნება:

„საქართველოსთვის იწყება ახალი დიდგორი. ჩვენ ამ ბრძოლის წინაშე ვდგავართ. ბევრი რამ გაკეთდა წინა წლებში, დღეს საქართველო სტაბილური ქვეყანაა, მაგრამ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რომ კავკასიაში, ევროპაში, მსოფლიოში ჩვენმა ქვეყანამ თავისი ადგილი დაიბრუნოს. არ უნდა დავიჯეროთ, რომ რახან საქართველო პატარა ქვეყანაა და, მით უმეტეს, ბევრი ჩვენი მოქალაქე საზღვარგარეთაა წასული, ის ვერ მოიპოვებს თავის ადგილს მსოფლიო რუკაზე. დიდგორი პირველ რიგში, რასაც ნიშნავს, ეს არის ჩვენში გაერთიანება, რომ აღარ იყოს ამ ქვეყანაში ისეთი დაპირისპირება, რომელიც დაფუძნებული არის სიძულვილზე, რევანშზე. გაუთავებელმა დაპირისპირებამ ქვეყანა შეიძლება გახლიჩოს. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც შეძლო სხვადასხვა ეროვნების, კულტურის, რელიგიის მიუხედავად ადამიანების თანაცხოვრება ისე, რომ შიგნით არასდროს მომხდარა დაპირისპირება. ჩვენ ვართ ის ქვეყანა, რომელზეც, მაგალითად, ისრაელში ამბობენ, რომ თუ რომელიმე ქვეყანა არის მსოფლიოში, რომელსაც არა აქვს ბოდიში მოსახდელი ისრაელისა და ებრაელების მიმართ, ეს არის საქართველო, რადგან დანაშაული ამ კუთხით მას არასდროს ჩაუდენია. ეს არის ძალიან დიდი იშვიათობა მსოფლიოში, რადგან, პრაქტიკულად, ყველგან იყო ასეთი გამოვლინებები. ასევე ეს არის საქართველოს ძალიან დიდი ისტორიული განძი, რომლითაც მოვდივართ.

ყველა გამოვლინება ძალადობის, სიძულვილის, დაპირისპირების არის ამ განძის მიმართ დანაშაული, საქართველოს იდენტობის მიმართ დანაშაული. დღეს ვართ ადგილზე, სადაც სხვადასხვა წარმოშობის ადამიანი ცხოვრობს. ჩვენ ამით ტოლერანტობის და ერთმანეთის პატივისცემის გზაზე მივდივართ. ჩვენ არ უნდა დავიხიოთ უკან, არ უნდა დავუბრუნდეთ წარსულს. პირიქით, ამაზე უნდა ავაშენოთ მომავალი საქართველო“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსმა თანამდებობა დატოვა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის **უფროსმა ლევან გამყრელიძემ თანამდებობა დატოვა.**

საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, ახალი ხელმძღვანელის დანიშვნამდე, საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოვალეობას სოსო რამიშვილი შეასრულებს.

ცნობისთვის, ლევან გამყრელიძე საგამოძიებო სამსახურს 2017 წლის ივნისის შემდეგ ხელმძღვანელობდა.

◎ ხმა გულიდან

მალე სულ ნუ გაკვიტკვლდებით!..

მრავლისმომსწრე პაპა მიმართავს ჩვენს შარვალდაგლეჯილ გოგონებს და მანდილოსნებს

საბოლოოდ ჩვენ ვერანაირი მტერი ვერ მოგვერევა, მით უმეტეს, ვერც სიღარიბე, რომელიც მუდამ მუხლჩაუხრელი შრომით დაგვიძლევია, რადგან ჩვენი წინაპრების ხელებმა დასვენება არ იცოდნენ. ისინი ცოტას ლაპარაკობდნენ და ბევრს მუშაობდნენ მზის ამოსვლამდე ამდგარნი და მზის ჩასვლამდე ოფლჩამომდინარნი.

დღეს რა ხდება? დღეს ის ხდება, რომ ხელების მაგივრად ენებს „ვამუშავებთ“ და ჩვენი გადამრჩენელი ძველი სიბრძნიდან, სხვა მდიდარი ხალხისგან განსხვავებით, ანდაზაღა შემოგვრჩა: თუ კაცი გონიერია, სოფელიც ღონიერიაო. ესე იგი, ცხადია, რატომ არ არის დღეს ჩვენი სოფელი ღონიერი. თანაც მთელი ახალგაზრდობა, ვისაც გარჯა არ ეზარება და სოფლის გაღონიერება შეუძლია, ამჟამად თბილისშია თავმოყრილი და დასავლეთში უკვე გადავარდნილ მოდას თუ ვინმე უხდება მონად, უმეტესწილად სწორედ ეს ჩვენი სოფლებიდან დედაქალაქში გადმოხვეწილი ახალგაზრდობაა.

განსაკუთრებით გოგონებზე მაქვს ლაპარაკი, ჩემი ამ პატარა შენიშვნის მიზანი სულაც ის არის, რომ მსოფლიოში მაჩანჩალებად ვიქცეთ, მაგრამ ნამდვილად მაღიზიანებს და, ალბათ, არა მარტო მე, რასაც დღეს ჩვენს ქუჩებში ვხედავ და, დიდად სამწუხაროდ, არა მარტო თბილისის ქუჩებში.

მე არც იმის მომხრე ვარ, რომ ჩვენმა გოგონებმა (ბევრს უკვე გოგონაც აღარ ეთქმის!) თავიანთი ბებიების ბებიებივით კოჭებდაფარული კაბებით იარონ, მაგრამ სხეულის თითქმის მთელი ქვედა ნაწილის გამოჩენა, ცოტა არ იყოს, უხერხულია. ერთი სიტყვით, საქართველოში დღეს პლაჟის სინდრომი მძვინვარებს.

წინათ „მოკლე კაბას“ შემღერილ კაბად მოიხსენიებდნენ, მაგრამ ეს მოკლე თუ „შემღერილი კაბები“ დღეს სადღაა?! არა მარტო გოგონებს, არამედ ბევრ უკვე მანდილოსანსაც ჯინსის შარვლები აცვია, თანაც კარგა გვარიანად დაგლეჯილი და თურმე რაც მეტად დაგლეჯილია, უფრო მოდურია და ძვირადაც ფასობს.

ღმერთმანი, არ ვაზვიადებ, არაერთხელ შემხვედრია ერთად მოსეირნე დაგლეჯილშარვლიანი ბებია, დედა და შვილიშვილი...

ბევრს, მოდაში გაუცნობიერებელს, პროვინციიდან თბილისში ჩამოსულს თავისი მწირი მონაგრის გასაყიდად, გაოცებულს უთქვამს, რაც ჩემი ყურით მაქვს გაგონილი, — სოფლად ღარიბები რომ ვიყავით, ვიცოდი, მაგრამ ქალაქი უფრო შავ დღეში ყოფილა, კაცი დავბერდი და ამდენი შარვალდაგლეჯილი და ტრაკგამოხეული დიდი თუ პატარა ქალი, ჩემს დღეში არ შემხვედრიაო.

მოდი და ნუ დაუჯერებ ჩვენი სოფლის შეძლებისდაგვარად ამ გამაღონიერებელ გლეხკაცს, რომელმაც კიდევ ბევრი რამ გულსატკენი შემომჩივლა, მეტადრე მაინც ის აწუხებდა — შრომა ვიღას ახსოვს, ქვეყანა ყბედობას და წყალწყალა ლაპარაკს გადაჰყვაო.

არჩილ მაღალაშვილი,
აკადემიური დოქტორი
ტელ: 599 13 96 57

გაიქცა და წაიღო თავისი ბოლმითა და სიბილწით სავსე სული და სხეული

საააკაშვილი – შტრიხები პორტრეტისათვის, მათთვის, ვისაც ძალიან მოენატრა

ეს იყო კუდიანი ვარსკვლავი საქართველოს ცაზე.

მას ჰქონდა ცბიერების ნიჭი, მაგრამ ბოლოს გაუგეს და გამოაშკარავება რომ იგრძნო, დაუფარავი ძალმომრეობით დაერია ყველას და ყველაფერს.

ისე ჩამოვიდა ქართული პოლიტიკის პიედესტალიდან, ერთი ნაბიჯით არ დაუხევია უკან უპატივცემლობის, უხამსობის, თავხედობისა და არავის არცნობის გზაზე. მას ჰქონდა მკვეთრად ჩამოყალიბებული გეგმა საქართველოში გლობალისტური პოლიტიკის გატარებისა და ამ გზაზე მას არ აინტერესებდა ქართველი კაცი და ქართული კულტურა, უფრო მეტიც, ეს ყველაფერი ესახებოდა დაბრკოლების ლოდად და სადაც კი ხელი მიუწვდა, ყველაფერი გაანადგურა.

ის აშენებდა, მაგრამ არა ქართველთა უკეთესი ცხოვრებისათვის, არა ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის, არა სიყვარულის დამკვიდრებისათვის, აშენებდა თავისი ბლაგვი იდეების გამართლებისათვის, თავისი ძალადობის ხორცშესხმისათვის, სხვისი უბედურების ხარჯზე, დაურიდებლად, დაუნდობლად, ცინიზმითა და მხოლოდ თავისი ავზნიანი შეხედულების გათვალისწინებით.

მის სიმართლეს წარმოადგენდა ის, რაც მისთვის იყო გამოსადეგი, არავითარი საწინააღმდეგო აზრი, არავითარი ოპონირება, იგი არ ცნობდა მოწინააღმდეგის აზრს, მისთვის უსირცხვილობა და უხამსობა იყო ცხოვრების წესი და გარბოდა მუდამ, რათა აეცილებინა კითხვები თავისი უხამსი საქციელის გამო.

წერეთლების ტრადიციულ ოჯახში გაზრდილის თუ არა, მათ გარემოს ნაზიარებ კაცს საიდან მოსდიოდა ქართველი ხალხის მიმართ შეურაცხყოფის ასეთი ჟინიანი სურვილები, ესაა გამოსარკვევი.

კარგად იცოდა მხოლოდ ის, პატრიოტიზმით როგორ აეგდო ქართველები და „ნაციონალი“ დაირქვა. აკი გაუმართლა, „ვჭამეთ“ და ცხრა წელი ვაბატონეთ კაცი, რომელსაც ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა – საქართველო ექცია ბალაგანად, დანამატად, ეპიგონად, ხერხად და საშუალებად თავისი სახელის განდიდებისათვის. ის ყიდდა ქართულ მიწებს, როგორც თავისას და ექცეოდა ხალხს, როგორც პირუტყვს. სხვა არ შეიძლება ეწოდოს მის მიერ განხორციელებულ უმკაცრეს რეპრესიებს ციხეში თუ ციხის გარეთ.

ის პირველი ღამის უფლებით სარგებლობდა ყველაფერში და მისი „სიმართლე“ ამ უფლების უდიდესი ძალმომრეობით განხორციელება იყო.

მან უარყო სამართალი და მოსამართლენი აქცია მონებად: როცა მოესურვებოდა და როცა დასჭირდებოდა, მაშინ დაიჭერდა, წაართმევდა, სცემდა, აწამებდა, გააუკუღმართებდა, საამისოდ შექმნა ისეთი ულმობელი სადამსჯელო მანქანა, რომელსაც ბოლშევიკური „ტროიკის“ სინდისიერებაც კი არ გააჩნდა.

თავისი უხეში, გრძელი ნაბიჯებით დააბიჯებდა მთელ ქვეყანაში, სტუმრის რანგშიაც კი მოუსვენარი და წინმავალი. არავითარი ნიშანწყალი ჯიშისა და არისტოკრატიზმისა: ცხვირის შიშველი ხელით მხოცავი, ყმუილით მოცინარი, ბანჯგვლიანი მკერდითა და სქელი უკანალით საქართველოს კისერზე გადამჯდარი „ჰომო“.

მან გამოამშრალა ქართული სულიერების სალარო და ქართული კულტურის სადავეები ხელში ჩაუგდო მანქურთებს, რომელთა თანამოაზრეობით საქართველოს გადაკეთება მოინდომა. ყოველგვარი სიწმინდე მან არარაობად აქცია და ყველაფერი ქართული მისთვის მოუსვენრობისა და სირცხვილის გამოვლინებად იქცა.

წერეთლების ოჯახში გაზრდილს (როგორც თვითონ ამბობდა, როცა დასჭირდებოდა), როგორ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ქართველი საკუთარი მიწის გარეშე არ არსებობს, რომ რაც სიკეთე და ღირსება გაგვაჩნია, ეს ყველაფერი სამშობლო მიწიდანა გვაქვს მიღებული. ვაგლახ, რომ იცოდა და იმიტომაც მოინდომა მისი გასხვისება და შემოიტანა ქართულ სფეროში ჯადოსნური ცნება „ინვესტიცია“, დამშეული მოსახლეობის სატყუარა – ოცნება ოქროს კოშკების შესახებ, უცხოელებმა რომ უნდა აგვიგონ და ქართველებმა შორიდან ვუყუროთ.

მას შეეძლო შეემჩნია და გვერდში დაეყენებინა თავის ბნელი სურვილების შესრულებისთვის ისეთი საჭირო პერსონები, რომელთა მენტალობის საერთო მახასიათებელია, ყველაფერი ქართულის მიმართ ნიჰილიზმი. ასეთი კაცები უნახავს საქართველოს, მაგრამ მან გადააჭარბა ყველას და ყველაფერს და დააკანონა თავისი გამორჩეულობა როგორც მონობის საწინდარი. დასჭირდებოდა და გაჰყვიროდა თავისი ქართველობის შესახებ, დასჭირდებოდა და საქმით ფეხქვეშ გათელავდა ამ ცნებას.

ათასი ტომი დაიწერება და დაწერილიცაა სააკაშვილის დანაშაულებრივი მმართველობის შესახებ. განა ტომებად არ აწყვია მისი ხელისუფლების გაუგონარი დანაშაულების დამამტკიცებელი საქმენი, რა მოურჩენს ფიზიკურ და სულიერ იარებს ადამიანებს, ვინც სააკაშვილის ხელისუფლების ეს სისასტიკე გადაიტანა.

მან შექმნა სიცრუის მანქანა, რომლის მსგავსი არ ახსოვს ჩვენს ახალ ისტორიას. ხალხის მოტყუება და ამით ამაყობა იქცა სააკაშვილის გუნდის წევრთა წესად. მათ ერთდროულად დაადეს ხელი ამორალური ზნეობის კოდექსს და ერთმანეთს შეჰფიცეს თავისი ფიურერის უპირობო მხარდაჭერა და გამოამჟღავნეს უდიდესი ნება, გვერდში დასდგომოდნენ ხალხის წამებაში, ოჯახების დაწიოკებაში, ახალგაზრდების ხოცვა-ჟლეტაში, საკუთრების წართმევაში, ბიზნესის დატერორებაში, ეროვნულ ფასეულობათა განიავებაში, არჩევნების გაყალბებაში, სიცრუის ტირაჟირებაში, ქართული სკოლისა და მეცნიერების განადგურებაში და კიდევ სხვა და სხვა...

რომელია აქ ჩამოთვლილთაგან ისეთი, რომელსაც მე ვიგონებდე და არ მომხდარიყოს, რომელია აქ ჩამოთვლილთაგან ისეთი ძალადობა, რომლის საწინააღმდეგოდ ხმა ამოეღოს და პროტესტი განეცხადებინოს რომელიმე მათგანს. და, ახლა, ეს უტიფარი სახეები პარლამენტში სხედან და ზნეობაზე ელაპარაკებიან ხალხს. არცერთ მათგანში არ გამკრთალა სინდისის სხივი, სხივი მონანიებისა და აღიარებისა, სხვისი ტკივილის განცდისა, სხვისი უბედურების დანახვისა. აი, გუნდური პრინციპი და მხარდაჭერის ერთგულება უზნეობისა და უსამართლობისა. ამიტომაა ნაციონალური მოძრაობა სექტა. ამიტომ უნდა გასამართლდეს ეს ორგანიზაცია ერთი უმთავრესი ბრალდებით – სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის!

ჩამოაგდეს და გაიქცა.

რატომ უნდა გარბოდეს მართალი კაცი თავისი ქვეყნიდან, ისიც პრეზიდენტყოფილი, დარჩენილიყო და დამტკბარიყო „სიყვარულით“, რომელიც ხალხის გულებში დატოვა, დარჩენილიყო და მოემკა რაც დათესა, განა მას თავისი გაჩენილი სამართალი ვერ დაიცავდა, აკი იძახდა, სამართლიან სახელმწიფოს ვაშენებო!...

გაიქცა და წაიღო თავისი ბოლმითა და სიბილწით სავსე სხეული. და ახლა უცხოეთიდან, სხვის სამსახურში დროებით ჩამდგარი, ყოველდღიურად, შურისძიების ხმით გვზარავს – „ო, თუ დავბრუნდი“, კუდიანი ვარსკვლავის შიშით ავაელვარებ საქართველოს ცას!..

ჩვენი ხალხი შეცბუნებული შესცქერის ამ გაელვარებას და თავის თავს ხათრიან კითხვას უსვამს: მართლა რომ დაბრუნდეს?!

ელდარ ნადირაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

უცხოეთიდან დანახული ქართული კორუფცია

მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების კვლევის თანახმად, რომელიც მსოფლიო ბანკმა თავის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა, საქართველო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიხედვით ლიდერ ქვეყნებს შორისაა. მართალია, ეს უცხოეთიდან ამგვარად მოსჩანს, თუმცა ადგილობრივი საზოგადოება მექრთამეობის პრობლემას უფრო მწვავედ აღიქვამს. ამას არ მალავენ დეპუტატებიც.

საქართველო ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-19 პოზიციაზეა და უსწრებს ევროკავშირის წევრ 13 სახელმწიფოს, როგორიცაა მალტა, პოლონეთი, ჩეხეთი, ლატვია, ლიტვა, ესპანეთი, სლოვაკეთი, იტალია, ხორვატია, უნგრეთი, რუმინეთი, საბერძნეთი და ბულგარეთი.

საქართველოს ქულა, კორუფციის კონტროლის მხრივ, კერძოდ, შეფასების რანგირების 100%-იან შკალაზე 77,40%-ს გაუტოლდა და 48-ე პოზიცია დაიკავა. აღნიშნულ ინდიკატორში ეს ქვეყნის ისტორიული მაქსიმუმია.

მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“ მსოფლიოს 200 ქვეყანას მმართველობის 6 მიმართულებით აფასებს:

– გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება;

– პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობასთან ბრძოლა;

– მმართველობის ეფექტიანობა;

– რეგულაციების ხარისხი;

– კანონის უზენაესობა;

– კორუფციის კონტროლი.

კიდევ ერთი ინდიკატორი, სადაც საქართველომ პოზიცია გაიუმჯობესა, რეგულაციის ხარისხია. შეფასების რანგირების 100%-იანი შკალიდან 81.73% დაიმსახურა და 2017 წელს მსოფლიოში 38-ე ადგილი დაიკავა.

რეგულაციის ხარისხის ინდიკატორში საქართველო აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ბალტიის ქვეყნებთან ერთად ლიდერია.

სხვათა შორის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიხედვით საუკეთესო 20-ეულში ყოფნას პროფესორი **ვახტანგ ჭარაია** მნიშვნელოვან მიღწევას უწოდებს.

მსოფლიო ბანკის კვლევას გამოეხმაურა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე **რომან კაკულია**. მისი თქმით, მსოფლიო ბანკის დასკვნა, სადაც საუბარია, რომ კორუფციის კონტროლითა და მმართველობის ეფექტიანობით საქართველომ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, თუმცა აუცილებელია ასეთი აღქმა საზოგადოებასაც ჰქონდეს.

„მსოფლიო ბანკის“ განმარტება ყოველთვის გარკვეულ კრიტერიუმებს ეფუძნება. დასკვნას აქედან გამომდინარე აკეთებენ და არა ზედაპირულად. ოპონენტების მოსაზრებას ვერ გავიზიარებ, რომ ქვეყანაში სისტემური კორუფცია არსებობს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ბანკის მსგავსი აღქმა საზოგადოებასაც ჰქონდეს.

ბექა დანელია

რა ადგილი უჭირავთ ეთნიკურ უმცირესობებს საპრეზიდენტო კანდიდატების გულსა და სულში?

არჩევნების მოსაგებად კანდიდატებს ყველას ხმები სჭირდებათ — ჩემიც, თქვენიც, იმათიც!.. მთავარია, ხმა გქონდეს (ხმა რა, ხმის უფლება). მთავარია, არჩევნებზე ხმა მათ სასიკეთოდ გასცე და კანდიდატები რას აღარ დაგპირდებიან — უფასო შაბიამნის პარტიით დაწყებული, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართვით დამთავრებული. ალაგ-ალაგ შეიძლება გამოერიოს ორი თევზით მთელი ქვეყნის დაპურების დაპირებაც.

ეს დაპირებები ძირითადად საარჩევნო პროგრამებში იყრის ხოლმე თავს, ცხადია, თუ აქვს კანდიდატს ეს პროგრამა. თუ არადა, ზეპირმეტყველებას რა უშლის ხელს. მოსახლეობასთან გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრებზე დაპირებების მარგალიტებს მოკრებს კაცი — მაგალითად, აი, უცებ „უფასო ფული“ გამახსენდა.

სწორედ ასე ახსენდებათ ხოლმე წინასაარჩევნოდ ეთნიკური უმცირესობები და მათი საჭიროებებიც. კანდიდატები ქალაქს ტოვებენ და რეგიონებში გადაინაცვლებენ — იქ, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ. საჭიროა მათი გულის, უფრო ზუსტად, ხმების მოგებაც.

რამდენიმე ფაქტი

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში სულ 3,459,031 ამომრჩეველია.
- ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა რიცხვი 290,618-ს შეადგენს, ანუ საერთო ამომრჩეველთა თითქმის 9 %-ს.
- ეთნიკური უმცირესობები (ამომრჩევლები) კომპაქტურად ცხოვრობენ 12 ოლქში: საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა.
- ცენტრალური საარჩევნო კომისია ცალკე არ გამოყოფს და არ ითვლის ეთნიკური უმცირესობების არჩევნებში მონაწილეობის სტატისტიკას.
- ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ გამოთვლებით, არჩევნებში, საშუალოდ, ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა 60 პროცენტი იღებს მონაწილეობას.

თუმცა, როგორც ჩანს, — უფრო ზუსტად კი, როგორც ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, მაგალითად, 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ხმების მოსაკრებად დიდად არ იწუხებენ თავს საპრეზიდენტო კანდიდატები.

არასამთავრობო ორგანიზაციების თქმით, ეთნიკური ამომრჩევლების დიდმა ნაწილმა არც კი იცის, რას სთავაზობენ მათ პრეზიდენტობის კანდიდატები არჩევის შემთხვევაში. მათივე თქმით, სამწუხაროდ, რეგიონებში არ იმართება შედეგზე ორიენტირებული სამუშაო შეხვედრები და პოლიტიკური პროცესების მართვა ისევ „კლანების დონეზე მიმდინარეობს“.

როგორ აპირებენ ეთნიკური უმცირესობების გულის მოგებას 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატები? მიუხედავად შეზღუდული უფლებამოსილებებისა, რას ჰპირდებიან ისინი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს? რადიო „თავისუფლებამ“ არჩევნებში მონაწილე რამდენიმე კანდიდატის საარჩევნო პროგრამა მოიძია, სადაც ისინი სწორედ ეთნიკურ უმცირესობებსა და მათ საჭიროებებზე ლაპარაკობენ. ცხადია, მოკლედ. ცხადია, ზოგადად.

დავით უსუფაშვილი,

უპარტიო საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელსაც მხარს უჭერენ „შენების მოძრაობა“, „ეროვნული ფორუმი“ და „თავისუფალი დემოკრატები“:

— ჩემთვის, როგორც მოქალაქისა და პოლიტიკოსისთვის, მთავარი ღირებულებები არის ადამიანი, მისი თავისუფლება და უფლებები. ამასთანავე, სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება სჭირდება ადამიანთა იმ ჯგუფებს, ვისაც დამატებითი დაბრკოლებების გადალახვა უწევთ საკუთარი უფლებების რეალიზებისთვის. ეროვნულ, რელიგიურ და სხვა უმცირესობებს სწორედ ასეთი, თითქმის გარდაუვალი, დაბრკოლებები ექმნებათ და სწორედ ამიტომაა მათზე მეტი ზრუნვა აუცილებელი.

რაც შეეხება მათ ჩართულობას სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეს არის არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი სახელმწიფოებრიობის, შესაძლოა, ყველაზე საშური კომპონენტი. ჩვენი სახელმწიფოებრიობა ვერ ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ეს მიუღებელია, მაგრამ, ასე თუ ისე, ახსნადია. თუმცა მიუღებელია, აუხსნელია და სავალალოა სახელმწიფოებრიობის (კანონის, პოლიტიკის, სახელმწიფო ენის, საერთო სიხარულის, საერთო ჭირის) გავრცელების მდგომარეობა უმცირესობებით დასახლებულ სხვა რეგიონებში. პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების ამოცანის დონეზე იქნება დასმული ეროვნული და რელიგიური უმცირესობების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ინდივიდუალური და რეგიონული თანამონაწილეობის 10-წლიანი პროგრამის შემუშავება და რეალიზება. პროგრამის ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობების წარმომადგენელთა ჩაბმა მათი მისწრაფების, უნარისა და კომპეტენციის ჰარმონიული განვითარების საფუძველზე; ცხადია, არა მათი კულტურულ-ეთნიკურ-რელიგიური თავისებურებების ნიველირების მიზნით, არამედ მათში საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქის იდენტობის გაღვივებისთვის.

გრიგოლ ვაშაძე,

გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი:

— საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა. ხშირად ვამაყობთ ჩვენი ქვეყნის ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით. საქართველოში ყველა ადამიანი, განურჩევლად მისი რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილებისა, თანასწორია სამართლის დონეზე, თუმცა პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით ჩაგვრას, უთანასწორობას, დისკრიმინაციას, რისი მაგალითებიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მომატებულია.

ამ პრობლემების მოგვარებისთვის და რეალური თანასწორობის მისაღწევად, აუცილებელია ინტენსიური მუშაობა. ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა უნდა იყოს. რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ყველა წარმომადგენელმა თავი ამ ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ უნდა იგრძნოს. ამისთვის კი აუცილებელია მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა.

უსათუოდ უნდა გაძლიერდეს ქართული ენის სწავლება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, რათა გამარტივდეს მათი ინტეგრაციის პროცესი. აუცილებლად უნდა გაგრძელდეს პროგრამა „ოთხს პლუს ერთი“, რომელიც ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად ითვლება. ამ პროგრამით ათასობით ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს მიეცა საშუალება, უმაღლესი განათლება მიეღო.

შალვა ნათელაშვილი,

ლეიბორისტული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი:

— ყველა რელიგიური, ეროვნული და სექსუალური უმცირესობა თანასწორია კანონის წინაშე და მათი უფლებები ისევე იქნება დაცული, როგორც უმრავლესობის.

სალომე ზურაბიშვილი,

„ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატი:

— საქართველოს მოქალაქემ უნდა იცოდეს ელემენტარული ქართული და საქართველოს ისტორია. ქვეყანამ ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის ინტეგრაცია და სახელმწიფო ენის შესწავლა უნდა უზრუნველყოს.

ნინო თარხნიშვილი

„პოლიტიკა არაფერ შუაშია, ზურაბიშვილმა ყველა ძირითადი პარამეტრი დააკმაყოფილა“

პოლიტიკა არაფერ შუაშია და სალომე ზურაბიშვილმა ყველა ძირითადი პარამეტრი დააკმაყოფილა, რაც გააჩნია ბანკს ნებისმიერ მსესხებელთან მიმართებაში, — ასე ეხმაურება „ქართუ ბანკის“ კომერციული დირექტორი ზურაბ გოგუა ხელისუფლების მხარდაჭერილი საპრეზიდენტო კანდიდატისთვის მილიონი ლარის სესხის გაცემას

„საკრედიტო პოლიტიკით გვაქვს განსაზღვრული, რომელ მსესხებელს რა პირობებით ვაფინანსებთ და ეს, რა თქმა უნდა, საბაზრო პირობებსაც შეესაბამება და საკრედიტო პოლიტიკასაც.სალომე ზურაბიშვილმა დააკმაყოფილა ყველა ძირითადი პარამეტრი, რაც გააჩნია ბანკს ნებისმიერ მსესხებელთან მიმართებაში. ეს არ არის ტიპური სამომხმარებლო სესხი“, — აღნიშნა „ქართუ ბანკის“ კომერციულმა დირექტორმა.

შეგახსენებთ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული დეკლარაციის მიხედვით, სალომე ზურაბიშვილმა ბანკ „ქართუდან“ მილიონი ლარის ოდენობის კრედიტი აიღო. „საარჩევნო კოდექსის“ მიხედვით, კანდიდატს, რომელიც არჩევნებში ხმათა 10%-ზე მეტს დააგროვებს, კამპანიაზე გაწეული ხარჯების დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან 1 მილიონი ლარის მოთხოვნის უფლება აქვს.

წინასაარჩევნო შემოწირულობები

საარჩევნო **სუბიექტის შემომწირველებთან, მათ შორის იმ ექიმებთან დაკავშირებით, რომლებმაც ხელისუფლების მხარდაჭერილ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს სოლიდური თანხები შესწირეს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სასამართლოს მიმართა. უწყება სასამართლოსგან ითხოვს ნებართვას, მიიღოს წვდომა შემომწირველების დეკლარირებულ შემოსავლებზე.**

აუდიტორებს ლიდერი საარჩევნო სუბიექტების საარგებლოდ განხორციელებულ ზოგიერთ შემოწირულებასთან დაკავშირებით კითხვები აქვთ. მათ შორისაა რამდენიმე ათეული ექიმი.

„ძალიან ჩინოსნური გამოძალვა“ თუ ბინძური ცილისწამება?

წინასაარჩევნო რბოლაა საქართველოში, ამ ჯერზე საპრეზიდენტო სავარძლისთვის, და მას, როგორც წესი, ბინძური „კომპრომატების“ შემოგდება ახლავს. თუმცა ისიცაა, რომ „სუფთა“ „კომპრომატი“ არ არსებობს. პირიქით, რაც უფრო ბინძურია „კომპრომატი“, მით უკეთესი, თან არც მის „სიახლეს“ აქვს მნიშვნელობა – დღევანდელია ის თუ შარშანწინდელი. „კომპრომატის“ წვრილმანებში ჩაძიება და მტყუან-მართლის თაობაზე ვერდიქტის გამოტანა წყალწაღებული საქმეა. ამიტომაც, მოდით, ის გავარჩიოთ, რაც ზედაპირზე დევს და აშკარად თვალში საცემია.

მაინც, რის გამო აგორდა ამჟამინდელი სკანდალი? რატომაა, რომ დღევანდელი ოპოზიციონერები მმართველ პარტიას ყველა „ცოდვას“ უყენებენ ბრალდებად, მათ შორის სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევას, კორუფციას, მაფიოზურ მმართველობას და ა. შ.?

თუმცა კი, მოდით, რიგრიგობით მივყვეთ.

უწინარესად, ეს ამბავი ორადაა გასაყოფი. მისი ერთი ნაწილი 50 მილიონი ლარის (დაახლოებით 20 მილიონი დოლარის) ვალს ეხება, რომელიც კომპანია „ომეგა ჯგუფს“ დიდი ხანია, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში აქვს გადასახდელი, მაგრამ არ იხდის. შეგახსენებთ, რომ „ომეგა ჯგუფი“ ბიზნესის სხვადასხვა სახეობას ფლობს – ის თამბაქოს ნაწარმის დიდი მწარმოებელი და დისტრიბუტორია, ვაჭრობს ავტომანქანებით, მათ შორის „ლუქს“ კლასისა.

წლებია, „ომეგა“ ტელეკომპანია „იბერიას“ აფინანსებს, რომელიც ამჟამად დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა – „ომეგა ჯგუფის“ ანგარიშები გადასახადების გადაუხდელობის გამო დაყადაღებულია. არც იმის გახსენება იქნება ზედმეტი, რომ ჯერ კიდევ 2004 წელს, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, „ომეგა ჯგუფი“ ასევე სკანდალში გაეხვა და ისევ გადასახადების გადაუხდელობის გამო. მაშინ პროკურატურამ საგადასახადო რევიზია დაიწყო და კომპანიის საკუთრება დააყადაღა, რის შემდგომ იმავე წლის დეკემბერში ტელეკომპანია „იბერია“ დაიხურა, მისი წილები კი გაიყიდა.

2013 წელს, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, „ომეგა ჯუფს“ ქონებაც დაუბრუნეს და ტელეკომპანიაც, თანაც 2015 წელს „იბერიამ“ მაუწყებლობა აღადგინა. 2016 წელს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დაადგინა, რომ 2004 წელს „ომეგა ჯგუფის“ ქონების დაყადაღების მიზანი სწორედაც დამოუკიდებელი ტელეარხის დახურვა იყო.

სამწუხაროდ, რამდენიმე წელიწადში სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების გადაუხდელობის ამბავი განმეორდა. ზაზა ოქუაშვილის კომპანია კვლავ სახელმწიფოს მოვალე აღმოჩნდა. თანაც ეს ვალი გამუდმებით იზრდებოდა. ნათქვამს ისიც უნდა დავამატოთ, რომ უზარმაზარი ვალების მიუხედავად, „ომეგა ჯგუფი“ კვლავაც განაგრძობდა ტელეკომპანია „იბერიის“ შენახვას, რაც სავსებით კანონიერ კითხვებს ბადებს: თუკი სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანების გასასტუმრებლად ფული არა აქვთ, მაშ რა სახსრებით ინახავენ ტელეჟურნალისტების შტატს? შემდეგ კი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მსგავს ვითარებაში ხდება ხოლმე: საგადასახადო სამსახურებს, რომ იტყვიან, „მოთმინების ფიალა“ აევსოთ და, როგორც მოსალოდნელი იყო, ანგარიშის გასწორების საათმაც ჩამოჰკრა.

სწორედ აქ იწყება ჩვენი ამბის მეორე ნაწილი.

ამ დღეებში ბიზნესმენმა ზაზა ოქუაშვილმა, „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელმა და მფლობელმა, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს სკანდალური ინტერვიუ მისცა, რომელშიც ბიძინა ივანიშვილი და მისი გარემოცვა „განგსტერ ალ კაპონეს კრიმინალურ ბანდას “ შეადარა. საათნახევრის განმავლობაში იგი გადაცემა „აქცენტების“ წამყვანთა კითხვებს პასუხობდა და იმას ყვებოდა, თუ როგორ ითხოვდა მისგან მილიარდერი და პარტია „ქართული ოცნების“ თავკაცი ოთხ მილიონ დოლარს... „სამართლიანობის აღდგენასა“ და მისი კუთვნილი კომპანიის დაგროვილი ვალების საკითხის გადაწყვეტაში.

ბიზნესმენი მაყურებლებს არწმუნებდა, რომ ბიძინა ივანიშვილი და მისი გარემოცვა „სამართლიანობის აღდგენის“ მაგივრად დიდი ბიზნესის რეკეტით არიან დაკავებულნი. და თითქოს ეს საქმე მილიარდერის დეიდაშვილის – უჩა მამაცაშვილის, ყოფილი გენერალური პროკურორის ოთარ ფარცხალაძის და ასევე ყოფილი ბიზნეს-ომბუდსმენის, ამჟამად კი შს სამინისტროს თავკაცის გიორგი გახარიას ხელებით კეთდება.

თავის მონათხრობში, ზაზა ოქუაშვილმა ბიძინა ივანიშვილი რაღაც ურჩხულად წარმოაჩინა, რომელიც გავლენიან პირთა მეშვეობით ჯერ მიანიშნებდა, შემდეგ კი დაუფარავად დაიწყო მისგან ე. წ. „გამოსასყიდის“ მოთხოვნას კომპანია „ომეგა ჯგუფის“ ბიზნესის შენარჩუნებაში. ოქუაშვილმა ივანიშვილთან თავისი შეხვედრებიც გაიხსენა, რომლებიც სპორტის ყოფილი მინისტრის ლევან ყიფიანის შუამავლობით იმართებოდა. მის მიერ წარმოჩენილი სურათი მდარე ხარისხის საშინელებათა ფილმის სიუჟეტს მოგვაგონებს. მაგალითად, ივანიშვილთან ერთი შეხვედრის გახსენებისას, ბიზნესმენმა გვიამბო იმის თაობაზე, რომ თავის რეზიდენციაში ერთ-ერთი შეხვედრის დროს, ივანიშვილი... ათი ალიგატორის ტყავისგან დამზადებულ დივანზე იჯდა. ოქუაშვილმა ისიც გვამცნო, რომ ყიფიანის ორჭოფული მოქცევით უკმაყოფილო ივანიშვილმა თითქოს დაავალა საქართველოს ყოფილ მთავარ პროკურორს ფარცხალაძეს მისთვის „ანგარიშის გასწორება“. მან კი თითქოს ყიფიანი რომელიღაც სარდაფში შეიტყუა, აუარება შეურაცხყოფა მიაყენა, რომელთა შედეგად სპორტის ყოფილმა მინისტრმა ლამის თავი მოიკლა. შემდეგ თითებით (სწორედ რომ თითებით და არა სიტყვებით და, მით უმეტეს, არა წერილობით), ივანიშვილმა ოქუაშვილს ციფრი „ოთხი“ აჩვენა, რაც იმ მილიონთა ოდენობას ნიშნავდა, რომლებიც „ომეგა ჯგუფის“ ხელმძღვანელს ივანიშვილის „ბიჭებისთვის“ „ატკატის“ სახით უნდა გადაეცა. ხატოვნად იყო დახატული TBC-ბანკიდან მითითებული ოთხი მილიონის გამოტანის პროცედურა და ფულიანი „ჩემოდნის“ ყელამდე შეიარაღებული ყაჩაღებით დაცულ მანქანაში ჩატვირთვა. აი, ასეთი ვნებათაღელვა გახლდათ ამ ინტერვიუს შინაარსი.

საგულისხმოა, რომ ყველა ეს მოვლენა 2015-2016 წლებში მოხდა. საინტერესოა, ნეტავ სად იყო მთელი ამ ხნის მანძილზე ბატონი ოქუაშვილი და რატომ გაახსენდა ყველა ეს სისხლის გამყინავი პერიპეტია მაინცდამაინც ახლა, პრეზიდენტის არჩევნების წინ თავისი ყოფილი მდევრების – მიხეილ სააკაშვილის დამქაშების საამებლად?

ტელეარხ „რუსთავი-2“-ითვის მიცემული ინტერვიუდან ირკვევა, რომ „ომეგა ჯგუფის“ მეპატრონემ უკვე მოასწრო საქართველოს მთავრობისთვის შევიწროების გამო ჩივილი ბრიტანულ სასამართლოში და ახლა ჩივილს საფრანგეთის სასამარლოშიც აპირებს. იგი დარწმუნებულია, რომ შეძლებს სარწმუნო მტკიცებათა წარდგენას აღნიშნულ საქმესთან საქართველოს მაღალი რანგის ჩინოსნებისა და ასევე ქვეყნის „არაფორმალური მმართველის“ კავშირის დასამტკიცებლად. მისი თქმით, მტკიცებულებებს შორის არის აუდიოჩანაწერები, კონკრეტული თანხების გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითრები და სხვა მასალები. ამასთან, ოქუაშვილმა უარი განაცხადა პირდაპირი პასუხი გაეცა კითხვებზე, არის თუ არა მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებს შორის „კოპრომატი“ თავად ბიძინა ივანიშვილზე, ვთქვათ, აუდიოჩანაწერი მისი ხმით.

აი, ასეთი ბინძური ამბავია. ახლა კი მთავარი კითხვა ისაა, თუ რა არის მასში სიმართლე და რა – სიცრუე?

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, კონსერვატიული პარტიის ლიდერი ზვიად ძიძიგური მიიჩნევს, რომ „ომეგა ჯგუფთან“ დაკავშირებული მთელი ეს ბინძური კამპანია მიხეილ სააკაშვილის ჩაფიქრებულია, ხოლო მისმა დამქაშებმა იგი საქართველოში განახორციელეს . ამ მოქმედებათა სქემა მარტივია, ის არაერთგზის იყო დამუშავებული და ჯერ კიდევ 2003 წელს იქნა გამოყენებული, ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ დროს ედუარდ შევარდნაძის ჩამოგდების დროს: საჭიროა მოქმედ ხელისუფლებას დაებრალო ყველა არსებული და არარსებული ცოდვა, წინასწარ გაამტყუნო მმართველი უმრავლეოსობა მომავალი არჩევნების გაყალბებაში, უკიდურესად დაძაბო და აურიო ვითარება და, საბოლოო ანგარიშით, ეცადო მღვრიე წყალში თევზის დაჭერა. როგორც ვხედავთ, მოქმედი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი კვლავ ოპერირებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საქართველოში „9-წლიანი დამანგრეველი მმართველობის“ ძველი არგუმენტით, ერთიანად მიაწერს მას ძველ და ახალ პრობლემებს, რომლებსაც ქვეყანა განიცდის. მაგრამ საქმე ისაა, განა რამდენად დამაჯერებელია ეს არგუმენტები?

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი ქობულიას აზრით, „ქართული ოცნების“ და მისი ხელმძღვანელობის მისამართით „ომეგა ჯგუფის“ მეპატრონის მიერ გამოთქმული ბრალდებები იმას უკავშირდება, რომ კომპანია თავს არიდებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დიდი დავალიანების გადახდას. „საქმე ძალიან სერიოზულ თანხას ეხება. „ომეგა ჯგუფს“ უზარმაზარი ვალი აქვს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე კომერციული ბანკების წინაშე. მიმაჩნია, რომ მსგავს შემთხვევაში, სულ მცირე, უხერხულია მსგავსი ბრალდებების წაყენება. ჩემი აზრით, ეს უფრო დავალიანების გასწორებისგან თავის ასარიდებლად კეთდება. მოდით, მათ ჯერ გადასახადები გადაიხადონ, მერე კი იმაზე ვილაპარაკოთ, თუ რა პრეტენზიები გააჩნიათ მთავრობის მიმართ“.

გავლენიანი პოლიტიკური მიმომხილველები კი აგორებულ სკანდალს ასე ერთმნიშვნელოვნად სულაც არ აფასებენ. „თუკი ხელისუფლება კვლავაც განაგრძრობს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების სირაქლემის პოზიციიდან შეფასებას და გაუთავებლად „სააკაშვილის 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმის“ მმართველობის შესახებ ლაპარაკს მოუნდებიან, მათ არავითარი მომავალი არა აქვთ“, – მიაჩნია ექსპერტ გია ხუხაშვილს. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ „ომეგა ჯგუფის“ საქმის თანადროული და ეფექტიანი გამოძიება მმართველი გუნდის ღირსების საქმედ უნდა იქცეს.

„ნამდვილად ფანტასტიკის სფეროდანაა ამბავი, თითქოსდა ბიძინა ივანიშვილი პირადად მონაწილეობდა რაღაც რეკეტში. ეს მე სრულიად წარმოუდგენლად მიმაჩნია, მაგრამ ვინაიდან ამ ამბის ზოგიერთი ვექტორი მისკენაცაა მიმართული, ამიტომ საჭიროა ამ საქმის ძირფესვიანად გამოკვლევა და დამნაშავეთა დასჯა. ჩვენ არ შეიძლება დავიჯეროთ ბიძინა ივანიშვილის ამ საქმეში მონაწილეობის ამბავი, მაგრამ არც იმის გამორიცხვა შეგვიძლია, რომ ზოგიერთმა მისმა დაახლოებულმა პირმა, თაღლითობის მიზნით, მისი სახელის გამოყენება სცადა“, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

* * *

უწინ, ძველ დროში, კაცი თავის სახელს დიდად უფრთხილდებოდა. მიყენებული შეურაცხყოფისთვის კაცს დუელში ტყვიაც შეეძლო მიეღო. შეუბღალავი რეპუტაციის დაცვისას ტყვიის მიღება თავად შეურაცხყოფილ კაცსაც შეეძლო. ხომ გახსოვთ ლერმონტოვის ცნობილი ლექსი, რომელიც მან პუშკინის დუელში დაღუპვას მიუძღვნა? ახლა კი სხვა დროა, სხვა ზნე-ჩვეულებები. მაგრამ, წაყენებულ ბრალდებებზე უბრალოდ ხელის აქნევა და ისე მოქცევა, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, პატიოსან ხალხში არც ახლაა მიღებული.

ერთი კი ცხადია: თუკი ქართველ საზოგადოებაში იმის შეგრძნება დარჩება, რომ ხელისუფლებამ ამ ამბის გამოძიებაში ნათლის შეტანა არ ისურვა, უმტკივნეულოდ ეს ამბავი არავისთვის ჩაივლის.

ვადიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

„მოვიმარაგოთ პოპკორნი და დაველოდოთ მორიგ სერიალს“

ვანო ჩხარტიშვილი „კურიერის“ მიერ გავრცელებული მორიგი ფარულ ჩანაწერს ეხმაურება. ბიზნესმენის შეფასებით, ეს არის „მორიგი საპნის ოპერა ნიკა გვარამიას რეჟისურითა და ზაზა ოქუაშვილის შესრულებით“. ჩხარტიშვილი ამბობს, რომ ყველაფრის მიუხედავად ის არ შეწყვეტს სასამართლო დავას „რუსთავი-2“-ის, ნიკა გვარამიას, „იბერიასა“ და ზაზა ოქუაშვილის წინააღმდეგ:

„ამ სერიალების სცენარისტ მიხელ სააკაშვილს ფანტაზიას ნამდვილად ვერ დაუწუნებ, თვეზე მეტია, „ზაზაფიქჩერსის“ ოპერეტები გრძელდება და ყოველი ახალი ჩანაწერი წინაზე „სკანდალურია“. ვერაფერს ვიტყვი, საბოლოოდ „გამშიფრეს“ და გლობალური პოლიტიკური პროცესების მონაწილედ „შემრაცხეს“, მადლობის მეტი რა მეთქმის.

ასეთი უბადრუკი მცდელობები ვერც იმ უდავო ფაქტს გადაფარავს, რომ ლონდონის ორმა წამყვანმა საექსპერტო ბიურომ ზემოთ დასახელებულ ტელეკომპანიებში ბოლო დროს გავრცელებული ფარული ჩანაწერები მიიჩნია ხელით მანიპულირებულად და სხვადასხვა დროსა და ადგილას გაკეთებული ჩანაწერების მონტაჟად.

ისე, ხალხს, სამი წლის წინანდელი გადაკეთებული ჭორაობების ყურებაში უკვე ჩაეძინა და რაღაც ახალია საჭირო. ამიტომ დავაანონსებ, რომ ფინალში გავრცელდება ჩემი საუბრები სერგო ორჯონიკიძესა და იოსებ სტალინთან, თუ როგორ ვგეგმავდით გვირაბის გათხრას თავისუფლების მოედნამდე და იქ წითელი დროშის აფრიალებას. ასე, რომ მოვიმარაგოთ პოპკორნი და დაველოდოთ მორიგ სერიალს“, – განაცხადა ვანო ჩხარტიშვილმა.

მე არცროდის თავს არ მანებებს იმის შეგრძნება, რომ ყოველივე, რაც დაკავშირებულია ჩემს პიროვნებასთან და ჩემს ცხოვრებასთან, იშვიათია და იმთავითვე აღნიშნულია რჩეულობის, მთლიანობის ბეჭდითა და გამომწვევი ბრწყინვალებით.

დალი თავისი უცნაურობისა და ახირებულობის თაობაზე

გამარჯვებისთვის მნიშვნელოვანია მუნდირი. ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ იშვიათად თუ მივმართავ სამოქალაქო ტანსაცმელს. ჩვეულებრივ დალის მუნდირი მაცვია.

* * *

ჯერეთ კიდევ უნაზესი ასაკიდან ერთი უკეთური მიდრეკილება აღმომაჩნდა — ჩემი თავი ისეთად არ მიმაჩნდა, როგორიც სუყოველი დანარჩენი მოკვდავი იყო. და შეხედეთ, რა ბრწყინვალედ გამომდის ეს ამბავი.

* * *

სულ მუდამ სალვადორ დალობას ვცდილობ, რაც თავისთავად ცოტა რამ არ არის: თანამედროვე მხატვართა შორის, მე ხომ ერთადერთი ვარ, ვინც იმას ვიქმ, რაც მომეპრიანება და ჯერეთ კიდევ უცნობია, ერთხელაც ჩვენი დროის რაფაელად გამომაცხადებენ თუ არა!

* * *

მე იმ ადამიანთა იშვიათ მოდგმას მივეკუთვნები, რომელნიც ერთდროულად ბინადრობენ ყოვლის უფრო პარადოქსულ და ერთმანეთისგან ყრუდ დაცილებულ სამყაროთა შიგან, და თავიანთ ნებაზე შედიან და გამოდიან იქიდან.

* * *

ჭკუათმხიარულთ უნდათ, რომ მე თავად მივდიო იმ რჩევებს, რომელთაც სხვათ ვაძლევ, მაგრამ ეს შეუძლებელია, მე ხომ სულ სხვა ვარ...

* * *

დაე, ქვა იმან მესროლოს, ვინც ჩემზე მეტად უნარიანია! დალი წინდაწინ იყრის მუხლთ, იგი მზად არის, რომ მკერდმიშვერილი დახვდეს დარტყმას — თუ აწვე ესვრიან ქვას, ის, ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ ფილოსოფიური იქნება.

* * *

რამდენადაც მახსოვს, ყოველთვის მქონდა გაზეთების წინაუკმო, უკუღმა დათვალიერების ჩვეულება. იმის მაგივრად რომ სიახლენი მეკითხა, ვათვალიერებ — და ვხედავ.

* * *

ჩვენი თვალები კი უზარმაზარი და თაღსავით შეზნექილი, მოკრიალებული ცისკენ იყო მიპყრობილი, რომელი ცაც ელოდა, როდის მოხატავდნენ პარანოიალურ-კრიტიკული სულისკვეთებით. ო, აღორძინების ნოსტალგიავ, რომელმაც უწყოდი ცისა და ქვის თაღთათვის პასუხი! რა დაემართათ ჩვენს დროში რელიგიის, ესთეტიკის, ზნეობის თაღთ, საუკუნეთა სიგრძეზე რომ იცავდნენ კაცობრიულ სულს, გონებასა და შეგნებას? დღეს სული ძაღლსავით გამოაგდეს ქუჩაში! გამოიგონეს მექანიკური ტვინი — რადიო. რის მოცემა შეუძლია ჩვენთვის ამ დაწყევლილ გნიასს, ევროპიდან და ჩინეთიდან მოდენილს, ნოსტრადამუსის, პარაცელსისა და ეგვიპტელ ასტროლოგთა ელვისებურ ნაგულთმისნართან შედარებით კუსაებრ მცოცავს! რის შეცვლა შეუძლიათ ამ სამხედრო ცნობებს, ახალ ამბებს, ერთი ნახევარსფეროდან მეორისკენ ნაღრიალევს, რანი არიან ისინი ადამიანისთვის, რომელსაც იმიტომ ასხია ყურსასმენელნი, რათა ესმას ციურ ანგელოზთა და მთვარანგელოზთა შორის გაჩაღებულ ბრძოლათა ნახმევი? რას ნიშნავს სატელევიზიო აპარატები, როცა შეგიძლია თვალების დახუჭვა. ყოვლის უფრო შორეული ქვეყნების მოხილვა და შენი ოცნების სუყოველ ბაღდადში მტვრის კორიანტელის დაყენება? რა არის „ცხოვრების წესის“ გაუმჯობესება ადამიანისთვის, რომელსაც ტან-სხეულის მკვდრეთით აღდგომა სწამს? უკეთუ ვირი გაფრინდება, უკეთუ ლეღვის ხეს ფრთები გამოესხმება, ამას წამიერად ძალუძს ჩვენი გაოცება — მაშ, რატომ უნდა გაგვაკვირვოს ჰაერში აჭრილმა და მფრინავმა ავტომობილმა, თითქოსდა უთო ნაკლებად იმსახურებდეს ფრენას, ვიდრე თვითმფრინავი? რა არის მფრინავი მანქანა, უკეთუ ადამის შვილს სული მზადა აქვს გასაფრენად?

ჩვენს დროს ზნეობრივი სკეპტიციზმი და გონების სიკვდილი დაღუპავენ! წარმოსახვის მცონარობამ, მექანიკურ ომის შემდგომ ფსევდოპროგრესს მინდობილმა, გადაყლაპა გონება, განაიარაღა იგი და წაბილწა. მექანიკურ ცივილიზაციას ნადგურყოფს ომი, ხოლო იმ ცივილიზაციის შემქმნელი მასები საზარბაზნე ხორცნი გახდებიან. მე თქვენზე ვფიქრობ, სუყოველი ერის ახალგაზრდებო, შთაგონებულნო და ერთგულნო, სპორტულ გმირთა სახისანო, ათლეტიკურ შეჯიბრებაში გამოზრდილნო, მხიარულნო და აღგზნებულნო, ო, ახალგაზრდა თანასულელნო ძმანო!

დალი დიდების სახელგანსმენილობისა და წარმატების თაობაზე

თუკი მხატვარს რამეზე ოცნება შეუძლია, სალვადორ დალის ყოველივე ჭარბად ჰქონდა — დიდებაც, სახელგანსმენილობაც და წარმატებაც. და მეტრი ოდნავ უხერხულობასაც კი არა გრძნობდა, ისე განაგრძობდა ტკბობას. იგი მიიჩნევდა, რომ თავისი გენიალურობა მხოლოდ წარმატებისთვის იყო ამქვეყნად მოვლინებული. მით უმეტეს, გვერდით გალა ჰყავდა — დიდების მწვერვალის მისაღწევად უცილო ელემენტი.

დალი აგრეთვე იმასაც მიიჩნევდა, რომ თვითგანხორციელებისთვის მარტოოდენ დიდება არა კმაროდა — გენიალურობას ფული უნდა მოეტანა. ღარიბი მხატვრის ხვედრი დალის ხელს არ აძლევდა, და აკი ახერხებდა კიდეც როგორც ზნეობრივი, ისე მატერიალური კმაყოფილების მწვერვალზე ყოფნას.

* * *

ფრიად ძნელია მსოფლიოს დაძაბული ყურადღების შენარჩუნება იმაზე მეტად, ვიდრე ზედიზედ ნახევარი საათია.

* * *

ჩემი ზეგავლენის მარადიული დრამა ის არის, რომ ეს ზეგავლენა მუდმივად ხელიდან მისხლტება და იმისი არც მართვა შემიძლია, არც გამოყენება.

* * *

ცხოვრება ისე მიყვარს, არავითარ უხამსობას თავს არ ვარიდებ.

* * *

შეუძლებელია სალვადორ დალის დაუსჯელად ასლის გადაღება, ვინც გაბედავს — მოკვდება! გაქურდული და ყალთაბანდურად გაძარცული ვერა ვგრძნობდი, როგორ აღწევდა ჩემი ზეგავლენა ზენიტს, უკეთუ ფული არა მქონდა.

* * *

ჩემი დიდსახელიანობა ოლიმპიურ ლეღვსავით დამწიფდა. მე ისღა დამრჩენია, კბილებში მოვიქციო და დავღეჭო ის, რათა დიდების გემო გავიგო. არა, არცრა შიშის საფუძველი არა მაქვს და მაინც თავისთავად მეზრდება შიში, არ ვიცი, საიდან გამიჩნდა და რასთან მიმიყვანს. მაგრამ ისერიგად ძლიერია, თავზარსა მცემს. გეტყვით, რაც ხდება: არცრა ამქვეყნად არ არის, რაც დამაშინებდა, მაგრამ შეშინებისა მეშინია, და შიშის შიში მზაფრავს.

* * *

ოქროს გულისთვის ურთიერთდათმობის გზით შეთანხმების თავიდან აცილების ყოვლის უფრო უბრალო ხერხია — შენ თვითონ გქონდეს ოქრო. როცა ფული გაქვს, რომელიც გნებავთ „სამსახური“ ყოველგვარ აზრსა კარგავს, გმირი არსად არ მსახურობს!

* * *

ზოგ-ზოგი მხატვრის შური მუდამ წარმატების თერმომეტრობას მიწევდა.

* * *

* * *

დონ-ჟუანისა არ იყოს, როგორც კი სადმე გამოვჩნდები, იქ ეგრევე აყალმაყალი უნდა ატყდეს.

* * *

რათა საზოგადოებაში მაღალი და მტკიცე მდგომარეობა შეიქმნა, უკეთუ ამასთანავე უჩვეულო რამ ნიჭიერება გაქვს მომადლებული, ფრიად სასარგებლოა ჯერეთ კიდევ ადრე სიყმაწვილეში იმ საზოგადოებას, რომლის წინაშეც მოწიწებას იჩენ, ერთი კაი მაგარი წიხლი ამოსცხო.

* * *

ჩემს გულისთქმაში დიდება ბრწყინავს, როგორც რომ გაშლილი მაკრატელი. ირუდუნე, ირუდუნე, სალვადორ!

* * *

არცროდის, არცროდის, არცროდის, არცროდის არცრა ფულის სიჭარბეს, არცრა რეკლამის სიჭარბეს, არცრა პოპულარობის სიჭარბეს არ აღუძრავს ჩემში — თუნდაც წამიერად — სიცოცხლის თვითმკვლელობით დამთავრების წადილი... სრულიად პირიქით, ის კი არა, ეს ძალიანაც მომწონს.

* * *

წელიწადში ერთხელ დახარბებულსავით გამომეცხადება ხოლმე ვინმე ახალგაზრდა, რომელიც მიღებას მთხოვს, რათა გაიგოს ჩემგან, როგორ წარემატოს ცხოვრებაში.

* * *

ნუთუ ესეგვარი გასაოცარი წარმატება თუ ლარის გატანა სრულიად არა გტანჯავთ?

სრულიად!

* * *

ახლა კიბის ზედა საფეხურზე ვდგავარ — არა, დიდების მწვერვალზე, და სახეზე ამ დიდების ათინათი დამთამაშებს.

* * *

გაზეთმა „ტაიმს მეგეზინ“-მა პირველ გვერდზე მან როეს გადაღებული ჩემი ფოტოგრაფია დაბეჭდა თვალში საცემი სათაურით: „სიურრეალისტი სალვადორ დალი: კვიპაროზი, არქიეპისკოპოსი და ბუმბულის ღრუბელი ფანჯრის წიაღ მიფრინავენ“. რა ვიცი, ვინღა არ მეუბნებოდა ამ ნომერზე, მაგრამ ვიდრე „ტაიმს მეგეზინ“-ის ის ნომერი არა მქონდა, ძალიან შეწუხებული ვიყავი, ვინაიდან ვფიქრობდი, რომ ლაპარაკი იყო მცირეტირაჟიან გაზეთზე. მხოლოდ მერმეღა შევიტყვე საგანგებო მნიშვნელობა ამ გამოცემისა, რომელსაც თურმე მთელი ამერიკა აბულბულებს. ერთ წამში სახელი გამივარდა.

* * *

ჩემი მეორე მოგზაურობისთვის ამერიკაში შეიძლება რომ ოფიციალურად „დიდების“ დასაწყისი გვეწოდებინა.

* * *

მე ვნახე, როგორ იცვლებოდა პარიზი ჩემ თვალწინ ჩემივე განკარგულებისებრ. ოღონდ, როგორც ყოველთვის, ჩემი ზეგავლენა იმდენად მაჭარბებდა მე თვითონ, რომ ვერცვის დარწმუნება ვერ შევძელი, ეს ზეგავლენა ჩემგან მოდის-მეთქი.

(გაგრძელება იძნება)

ასე ამბობდა სალვადორ დალი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

ვაღმერთებ საჯაროობას და უკეთუ ისეთი ბედნიერება მომადგა კარს, რომ ჟურნალისტებმა გაიგეს, ვინცა ვარ და კითხვები დამაყარეს, დავდგები და ჩემს პურს დავუფხვნი, როგორც რომ წმინდა ფრანსუა უფხვნიდა ფრინველთ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №196-202

ამერ-იმერში საიმპორტო კენკროვანი კულტურა გაშენდება

ლურჯზე მოცვის, მაყვლის და ჟოლოს ინტენსიური ბაღების გაშენების მხარდასაჭერად, სახელმწიფო პროექტში „დანერგე მომავალი“ ცვლილებები შევიდა. ბაღების თანადაფინანსების კომპონენტს ახალი ქვეკომპონენტი – „კენკროვანი კულტურები“ დაემატა.

დანერგე მომავალის პროექტის მენეჯერი მარიამ მეკოშკიშვილი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის გუბერნატორთან, ბატონ არჩილ ჯაფარიძესთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ფერმერებს შეხვდა და ახალი ქვეკომპონენტის დეტალები გააცნო.

ქვეკომპონენტის ფარგლებში, განსაზღვრულ რეგიონებში, დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების 100%, როგორც ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაში; 100%-ით დაფინანსდება წვეთოვანი სარწყავი სისტემების ღირებულებაც; საჭიროების შემთხვევაში, დაფინანსდება ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების ღირებულების 100%.

ქვეკომპონენტი განხორციელდება:

იმერეთში – საჩხერის, ტყიბულის, ჭიათურის, ხარაგაულის, ბაღდათის, ვანის, ხონის მუნიციპალიტეტებში და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში;

გურიაში – ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები;

რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში – ამბროლაურის, ლენტეხის, ონის და ცაგერის მუნიციპალიტეტებში;

სამეგრელო-ზემო სვანეთში – წალენჯიხის, მარტვილის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში.

მცხეთა-მთიანეთი – მცხეთის, თიანეთის, დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში.

ფიზიკური პირის შემთხვევაში, ერთ ბენეფიციარზე დასაშვებია არანაკლებ 0.15 ჰა და არაუმეტეს 0.5 ჰა კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების დაფინანსება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის (რომლის საკუთრებაშია მეპაიეების მიერ პაის სახით შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) მიერ კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების ფართობი განისაზღვრება თითოეული მეპაიის მიერ შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რაოდენობის მიხედვით, თითოეულ მეპაიეზე არაუმეტეს 0,5 ჰა-ის გადაანგარიშებით.

სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივს, რომელიც დაფინანსებას მიიღებს არანაკლებ 5 ჰექტარზე ბაღის გასაშენებლად, უსასყიდლოდ გადაეცემა პირველადი დასაწყობებისთვის საჭირო 1 ერთეული სტაციონალური მაცივარკონტეინერი, რომლის ტევადობა, საშუალოდ, 20 ტონაა.

ყოველწლიურად საქართველოში, დაახლოებით, 900 000 ტონა ნარჩენი წარმოიქმნება!

ყოველწლიურად საქართველოში, დაახლოებით, 900 000 ტონა მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნება. ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში წერია.

საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრულია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვა სპეციფიკური ნარჩენებისთვის, რომელიც ძალაში 2019 წლის დეკემბრიდან უნდა შევიდეს.

სპეციფიკურ ნარჩენებს განეკუთვნება: შეფუთვის ნარჩენები (პლასტმასი, ქაღალდი, მუყაო, ხე, ლითონი, მინა), ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები, ხმარებიდან ამოღებული საბურავები, ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები, გამოყენებული ზეთები, გამოყენებული ბატარეები და აკუმულატორები.

უწყების ცნობით, 2019 წლის ბოლოდან სპეციფიკური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ახალი ვალდებულება ამოქმედდება. დღეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით და ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით გამართულ შეხვედრაზე მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საკითხები განიხილეს.

ბოლო 67 წელიწადში კაცობრიობამ 8,3 მილიარდი ტონა პლასტიკური მასალა შექმნა. მხოლოდ 2015 წლისთვის კაცობრიობამ 6,3 მილიარდი ტონა პლასტმასი გამოიყენა. მათგან ხელმეორე გამოყენებისთვის მხოლოდ 9% გადაამუშავეს, 12% კი დაწვეს. დარჩენილი ნაგავი ხმელეთისა და ოკეანის ზედაპირზე რჩება.

commersant.ge

სესხის გაცემის პროცედურები გამკაცრდა!

ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები, რომელიც სესხის გაცემის პროცედურის გამკაცრებას ითვალისწინებს, ძალაში მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან შედის.

სპეციალისტების განცხადებით, ახალი რეგულაციები ბიზნესს და კერძო პირებს მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნის, კერძოდ, საშუალო და მცირე ბიზნესისთვის კრედიტზე წვდომას შეაფერხებს, რაც ამ სეგმენტის განვითარებაზე უარყოფითად აისახება.

ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი **ნინო ზამბახიძე** მიიჩნევს, რომ ცვლილებების გამო არსებული ფერმერული მეურნეობები ვეღარ განვითარდებიან.

„ვფიქრობ, ეს ძალიან სერიოზულ პრობლემას შეუქმნის რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს, ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობა აღარ იარსებებს და გაჩნდება ადამიანების ჯგუფი, ვინც შავ ბაზარს ჩამოაყალიბებს,“ – განაცხადა ნინო ზამბახიძემ.

ცნობისთვის: ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების თანახმად:

1. იპოთეკაზე წესდება მაქსიმუმ 15-წლიანი ლიმიტი;

2. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი მაქსიმუმ 10-წლიანი იქნება;

3. ავტოსესხი მაქსიმუმ 6-წლიანი იქნება;

4. ნებისმიერი ტიპის სესხის ხანგრძლივობა 4 წელს არ უნდა აჭარბებდეს;

გარდა ამისა, ის პირები, რომელთაც უკვე აღებული აქვთ სესხი, არსებულ საბანკო ვალზე სესხს ვეღარ დაიმატებენ.

საწვავის გაძვირების გამო მოსახლეობა დაზარალდა

საწვავის შეუჩერებელმა გაძვირებამ თავისი შედეგი გამოიღო – იმპორტიც და მოხმარებაც საგრძნობლად შემცირდა. ნავთობიმპორტიორთა კავშირის ინფორმაციით, სექტემბრის თვეში საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტმა 81,2 ათასი ტონა შეადგინა, რაც 26,3 ათასი ტონით ნაკლები მაჩვენებლია აგვისტოსთან შედარებით და ასევე 28,3 ათასი ტონით ჩამორჩება გასული წლის სექტემბრის თვის მაჩვენებელს.

კლება თვალსაჩინოა, რასაც ორი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის მაღალი ფასიდან გამომდინარე საწვავის მოხმარების შემცირება, რადგან საქართველოში ნავთობპროდუქტების ფასი ბოლო წლების მაქსიმუმზეა.

„ფაქტობრივად დასრულდა შვებულებების, დასვენებისა და მოგზაურობის აქტიური პერიოდი, როდესაც ტრადიციულად საწვავის მომხმარება და შესაბამისად, იმპორტი ყველაზე მაღალ მაჩვენებელზე დგას. ეს გახლავთ ზაფხულის თვეები. რაც შეეხება საწვავის მაღალი ფასიდან გამომდინარე საწვავის მოხმარების შემცირებას, ეს ფაქტორიც მოქმედებს, თუმცა რამდენად რეალური იქნება გავლენა, მომდევნო თვეებში გამოჩნდება საწვავის იმპორტის მოცულობიდან გამომდინარე“, – აცხადებს კავშირის თავმჯდომარე **ვანო მთვრალაშვილი.**

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ნავთობიმპორტიორი კომპანიები მთავრობას საწვავის გაიაფების გზას სთავაზობდნენ. მათ ერთ-ერთ ინიციატივას აქციზის განაკვეთის ლარის გაცვლით კურსზე მიბმა წარმოადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ კურსის ცვლილება ავტომატურად გამოიწვევდა აქციზის კორექტირებას. ამ მიზნით ბიზნესი პრემიერთან შეხვედრასაც გეგმავდა, თუმცა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის პარლამენტში წარდგენამ და წინასაარჩევნო პერიოდმა ეს პროცესები შეაჩერა. ნავთობიმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი ამბობს, რომ მთავრობას ბიუჯეტი უკვე დაგეგმილი აქვს, შესაბამისად ნაკლებ სავარაუდოა მათი ინიციატივის გაჟღერების შემდეგ მთავრობამ ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტი დააკორექტიროს.

„ამ ეტაპზე ამ ინიციატივის დაყენებას აღარ ვაპირებთ და ამაზე საუბარი, სავარაუდოდ, აღარ გაგრძელდება“, – განუცხადა „ბიზნეს მედიას“ მთვრალაშვილმა. ჯერჯერობით უკან დახევას არ აპირებს „ევროპული საქართველო“. ისინი საწვავზე აქციზის გადასახადის ძველ ნიშნულზე დაბრუნების ინიციატივით პარლამენტის წინაშე გამოდიან. საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორის ზურაბ ჭიაბერაშვილის თქმით, თუკი ეს ინიციატივა მხარდაჭერას მოიპოვებს, 2019 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს ამ თვალსაზრისით 310 მლნ ლარი დააკლდება. სამაგიეროდ, ნავთობპროდუქტები 20-25 თეთრით გაიაფდება.

ამასობაში კი საქართველოში საწვავის ფასი ბოლო წლების მაქსიმუმზე ავიდა და ჩამოსვლას აღარ აპირებს. 2017 წლის იანვრიდან მოყოლებული, როცა მთავრობამ საწვავზე აქციზის განაკვეთი გაზარდა, სხვადასხვა ფაქტორების გამო 1 ლიტრი ბენზინი დაახლოებით 80-85 თეთრით გაძვირდა.

ბექა დანელია

შესაძლებლობა გეძლევათ, უცხოეთში აღებული მართვის მოწმობები შეცვალოთ

მომსახურების სააგენტომ შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე უცხოური მართვის მოწმობის ქართული მოწმობით შეცვლის წესში ცვლილება განახორციელა. ცვლილება უკვე შევიდა ძალაში.

ახალი რეგულაციის თანახმად, იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს საზღვარგარეთ აღებული მართვის მოწმობის საქართველოში შეცვლა, აუცილებელია, რომ იგი მართვის მოწმობის აღებამდე უწყვეტად იყოს ნამყოფი (ნაცხოვრები) მართვის მოწმობის გამცემ ქვეყანაში სულ მცირე 185 დღე, 1 წლის განმავლობაში.

აღნიშნული რეგულაცია შეესაბამება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს (2006/126/EC) დირექტივას და იგი ხელს შეუწყობს ნებისმიერი უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული მართვის მოწმობის შეცვლის პროცესში თანაბარი მიდგომის ჩამოყალიბებას.

საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც აქვს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული ვადიანი მართვის მოწმობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში მართვის მოწმობის შესაცვლელად უნდა წარადგინოს:

- **განცხადება**
- **საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა**
- **უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობა**
- **კანონმდებლობით დადგენილი წესით ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული მართვის მოწმობის დასტური (უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის წერილობითი მიმართვა ან ცნობა, რომელიც ადასტურებს მომსახურების სააგენტოში შესაცვლელად წარმოდგენილი უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის გაცემის ან/და მართვის უფლების შეჩერების ან შეწყვეტის არარსებობის ფაქტს)**
- **ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ**
- **მართვის მოწმობის გამცემი ქვეყნის შესაბამისი კომპეტენტური უწყების მიერ საზღვრის კვეთის შესახებ გაცემული ცნობა.**

წიგნის ბაზრობაზე, „თიბისის“ მხარდაჭერით...

ფრანკფურტის წიგნის 70-ე საერთაშორისო ბაზრობის ფარგლებში, საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონის მთავარ სცენაზე, „თიბისის“ მხარდაჭერით, ცნობილი ბრიტანელი ფოტოგრაფის მარტინ პარის წიგნის – „Martin Parr Tbilisi“ პრეზენტაცია შედგა.

1980-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფოტოგრაფი და პრესტიჟული სააგენტო „მაგნუმის“ წევრი მარტინ პარი საქართველოს თბილისის მერიის მოწვევით 2018 წლის ივნისში მესამედ ესტუმრა. წიგნი ფოტოგრაფის თბილისში გადაღებული ფოტოების მიხედვით შეიქმნა და ერთ-ერთ ცნობილ გერმანულ გამომცემლობასთან – „Prestel Publishing“-თან თანამშრომლობით მიუნჰენში გამოიცა. წიგნში ასევე შევიდა პარის 2009 წელს თბლისში გადაღებული რამდენიმე ფოტო. წიგნის ტექსტი აკა მორჩილაძეს ეკუთვნის. პრეზენტაციის მოდერატორი და წარმდგენი ომის ცნობილი ფოტოგრაფი, „Magnum Photos“ პრეზიდენტი თომას დვორჟაკი იყო.

მარტინ პარიმ ინოვაციური სახეებისა და სოციალური ფოტოგრაფიის მიმართ განსხვავებული მიდგომის, ასევე, დიდ ბრიტანეთში და მის საზღვრებს გარეთ ფოტოგრაფიის კულტურაში შეტანილი წვლილისთვის საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ნამუშევრებში დაკვირვების სიზუსტისა და განსხვავებული ფერების გამო პარი 1980-იანი წლებიდან ყველაზე წარმატებული და პოპულარული ფოტოგრაფების სიაში მოხვდა და სააგენტო Magnum Photos-ს ერთ-ერთი მთავარი წევრი გახდა.

პარალელურად, საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონში გამოფენა – „თბილისი მაგნუმის წიგნებში“ გაიხსნა. ექსპოზიცია 71 წლის მანძილზე, მაგნუმის წევრი ისეთი ფოტოგრაფების მიერ თბილისში გადაღებულ 35-მდე ფოტოს აერთიანებს, როგორებიც არიან: რობერტ კაპა, ანრი კარტიე ბრენსონი, კარლ დე კეიზერი, გიორგი პინხასოვი, იონას ბენდიკსენი, პაოლო პელეგრინი, თომას დვორჟაკი და მარტინ პარი. ექსპოზიცია იწყება ფოტოებით, რომელიც რობერტ კაპამ 1947 წელს ჯონ სტეინბეკთან თბილისში მოგზაურობისას გადაიღო. სწორედ ამ წელს დაარსდა საგენტო Magnum Photos. გამოფენას მარტინ პარის მიერ 2018 წელს შექმნილი ნამუშევრები ასრულებს. მოგვიანებით, აღნიშნული ექსპოზიცია „თიბისისა“ და თბილისის მერიის ინიციატივით თბილისს გადმოეცემა და გამოფენის ნახვა ყველა მსურველს შეეძლება.

ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს, როგორც საპატიო სტუმრის პავილიონი 9 ოქტომბერს გაიხსნა. ქართული პროგრამა, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, კონცეფციით – Georgia Made by Characters – „ანბანით მოთხრობილი საქართველო“ წარდგა. კვირეულის ფარგლებში, პავილიონში, საქართველოს ეროვნულ და თემატურ სტენდებზე, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის 20-მდე სცენაზე, ათობით ლიტერატურულ და კულტურულ სივრცეში ქართველი ავტორებისა და არტისტების სხვადასხვა შინაარსისა და თემატიკის ასობით ღონისძიება გაიმართება.

ამბავი კაცისა, რომელმაც საკუთარ სახლში დაიძინადა ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაიღვიძა...

პავილიონის გახსნის ცერემონიალის ერთ-ერთი მთავარი სიტყვა ერგო გერმანულენოვან, წარმოშობით ქართველ ავტორს **ნინო ხარატიშვილს**. სწრაფვა ევროპისკენ, საზღვრების რღვევა, მცოცავი ოკუპაცია – მისი სიტყვა კარგად აღწერს თანამედროვე ქართულ ყოფას, ლიტერატურის მნიშვნელობას, რომელიც ხშირად იმ პოლიტიკურ თუ სოციალურ რეალობაშია გადაჯაჭვული, რომელშიც გვიწევს ცხოვრება:

„მე გერმანულად ვწერ, იმიტომ, რომ მიყვარს ეს ენა და მჯერა, რომ ქართული ამბების მოყოლა გერმანულად უფრო ზუსტად შემიძლია. ამას ვაკეთებ იმიტომ, რომ მე მომცეს საშუალება, მესწავლა ეს ენა და გავხდი ამ კულტურის ნაწილი. ამ ყველაფერზე ლიტერატურამ ძალიან დიდი გავლენა იქონია. წიგნები, რომლებსაც მე ვკითხულობდი, არ იყო ჩემთვის უცხო. კითხვის დროს მე ვიყავი ამ კულტურის ნაწილი. კი მჯერა, რომ ლიტერატურა არ არის საზღვრებში მოქცეული. ჩვენ სხვა ადამიანის ცხოვრება შეგვიძლია ვიგრძნოთ. ჩვენ შეგვიძლია წიგნებში საკუთარი თავი თავიდან აღმოვაჩინოთ. ადამიანის უნარი იყოს ემპათიური, ძალიან მნიშვნელოვანია. წიგნებს კი შეუძლიათ ამ ემპათიის გაღვიძება ადამიანებში.

საქართველოს ძალიან ბევრი ამბავი აქვს მოსაყოლი. ეს ამბები ტრაგიკულიცაა, ალბათ, საშინელიც, ეს არის დაპყრობის ამბები, სიკვდილის ამბები, გადარჩენის ამბები, ომის და დაკარგვის ამბები, მწუხარების და უპერსპექტივობის ამბავი და, ამასთანავე, იმედისა და შესანიშნავი ადამიანების ამბავი...

მე რომ წერა დავიწყე, ვიყავი ქართველი ავტორი, მერე გავხდი გერმანელ-ქართველი ავტორი და ბოლოს – გერმანელი ავტორი. უცნაურია, მაგრამ წიგნი, რომელიც გერმანულად დავწერე, 1300 გვერდიზე საქართველოზე ჰყვებოდა... საქართველო უკანასკნელი 27 წლის განმავლობაში ცდილობს, ბრძოლით დაიბრუნოს თავისი იდენტობა, რომელიც მას ანტიკური ხანიდან მოსდგამს და რომელსაც საუკუნეების მანძილზე ყველა დამპყრობლისგან იცავდა. მაგრამ საქართველოში ბევრს ავიწყდება, რომ ეს იდენტობა არ წარმოადგენს ვიწრო ჩარჩოებში მყოფ უცვლელ ფორმას, ავიწყდებათ, რომ დრო და ვითარება იცვლება. რომ კულტურის სიმდიდრე იქიდან წარმოიშვა, რომ ის გამტარუნარიანი იყო და გაბედული. ის მზად იყო, გადაეღო და აეთვისებინა უცხო კულტურაც...

საქართველოს ძალიან ბევრი ამბავი აქვს მოსაყოლი. ამიტომ მინდა დავასრულო ჩემი სიტყვა ასეთი ამბით: საქართველო-რუსეთის ე.წ. საზღვარზე, ცხინვალის რეგიონში, რომელიც საქართველოს შემადგენელი ნაწილია, მაგრამ კონტროლდება რუსეთის მიერ, რუსული მავთულხლართები ყოველ კვირას ავიწროებს საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიას, ცხოვრობს კაცი, რომელმაც ერთ დღეს გაიღვიძა საკუთარ სახლში და აღმოჩნდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე. აი, ამ ადამიანის ისტორიამ, რომელმაც უცებ გაიღვიძა მტრის ტერიტორიაზე, არ დატოვა სახლი, არ დატოვა შვილის საფლავი, ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე წარმოვიდგინე ეს გლეხი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, რომ ის ვერ მოიგებდა ამ ომს, მაინც გადაწყვიტა ბრძოლა. მე წარმოვიდგინე ადამიანი, რომელსაც წვიმამ და ქარმა დაატყო თავისი კვალი, რომელიც დგას რუსი ჯარისკაცის წინაშე და რომელიც ცდილობს, რომ მას აუხსნას, რატომ არ შეუძლია იმ მიწიდან წასვლა, სადაც მისი შვილია დასაფლავებული. ის ამას მშვიდად იქმს. ყოველთვის იმეორებს თავის სათქმელს. ის არ აღიარებს ამ საზღვარს. და ის აჩვენებს, რომ ეს საზღვარი სინამდვილეში სასაცილოა და ჯარისკაციც ერთ მშვენიერ დღეს ნებდება. შეიძლება ის ფიქრობს, რომ ჯანდაბას, დარჩეს ეს შეშლილი მოხუცი აქ, მაგრამ, ალბათ, იმასაც ვერ ხვდება, რომ ამავე დროს, მისმა ავტომატმა დაკარგა ძალა. მე არ ვიცი, მართალია თუ არა ჩემი წარმოდგენილი ამბავი... იმედი მაქვს, რომ აქ ფრანკფურტში ძალიან ბევრი ამბავი საქართველოდან გადალახავს საზღვარს“...

ნინო ხარატიშვილი

ჩვენ მომთმენები უნდა ვიყოთ!

რუსეთში შვეიცარიის ელჩს ივ როშეს ინტერვიუ ჩამოართვა რუსული საინფორმაციო სააგენტო რია ნოვოსტი-ს კორესპონდენტმა.

– თქვენი ქვეყანა შუამავალია რუსეთსა და საქართველოს შორის, ორივემ ხელი მოაწერა კომპანია SGS-თან შეთანხმებას ტვირთების მონიტორინგის მექანიზმის თაობაზე და როდის ამოქმედდება ეს მექანიზმი?

– ზუსტი თარიღის დასახელება არ შემიძლია. მე პირადად ძალიან მოუთმენელი კაცი ვარ - მინდა, რომ პროცესი მალე დაიწყოს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჭიანურდება. ისე, ფაქტია, რომ პროგრესი ნამდვილად არის. სირთულეები იმიტომ ჩნდება, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობას სპეციფიკური ხასიათი აქვს. ეს ძალიან დელიკატური საკითხია. ზოგჯერ ეროვნული მომენტი და პოლიტიკური ატმოსფერო ერთობლივ მუშაობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. პროცესის ბლოკირებას ის ობიექტური მიზეზები კი არ ახდენენ, რომლებიც კონკრეტულ საკითხებთანაა დაკავშირებული, არამედ რაღაც პოლიტიკური გარემოებები ამუხრუჭებენ. მაგრამ, ვიმეორებ, სიტუაცია შესამჩნევად უმჯობესდება. ვფიქრობ, ორივე მხარე აშკარად გამოხატავენ ურთიერთობის გაუმჯობესების სურვილის ნებას. რუსეთში ბევრი ქართველი ცხოვრობს და მუშაობს, ქვეყნებს შორის ვაჭრობა მიდის, საქართველოში მილიონობით ტურისტი ჩადის... ასე რომ, საბაზო სიტუაცია საკმაოდ კარგია. ამასთან, არის საერთო დაინტერესებაც ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. რას ვიზამთ, ზოგჯერ მსგავსი შეთანხმებები შეიძლება პოლიტიკური ატმოსფეროს შედეგად გარკვეულ მომენტში მძევლებად იქცნენ... ჩვენ მომთმენები უნდა ვიყოთ და ველოდოთ...

„ნიუპრესი“.

მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

საქართველო
ჯვარი-ხორგას ელ. გადამცემი ხაზის პროექტი
500 კვ ორ-ჯაჭვა ელ. გადამცემი ხაზის დაახლოებით 8 კმ-ის და 220 კვ ორ-ჯაჭვა ელ. გადამცემი ხაზის დაახლოებით 60 კმ-ის დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების დასრულება - პაკეტი „ბ“

1. მოცემული მოწვევა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად შემუშავდა აღნიშული პროექტისთვის განსაზღვრული შესყიდვების ზოგადი შეტყობინების საფუძველზე, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (ბანკის) ვებ-გვერდზე - შესყიდვების შეტყობინებები (www.ebrd.com) გამოქვეყნდა **2013 წ. 02 მაისს.**

2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე)/შპს „ენერგოტრანსი“, შემდგომში - „დამკვეთი“, გეგმავს ბანკისგან მიღებული სესხის სახსრების ნაწილის გამოყენებას **ჯვარი-ხორგას დამაკავშირებელი პროექტისთვის.**

3. დამკვეთი იწვევს კონტრაქტორებს დალუქული სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად ქვემოთ წარმოდგენილ კონტრაქტთან (კონტრაქტებთან) მიმართებაში, რომელიც დაფინანსდება სესხის სახსრების ნაწილით:

500 კვ ორ-ჯაჭვა ელ. გადამცემი ხაზის დაახლოებით 8 კმ-ის და 220 კვ ორ-ჯაჭვა ელ. გადამცემი ხაზის დაახლოებით 60 კმ-ს დარჩენილი სამშენებლო სამუშაოების დასრულება. დარჩენილი სამუშაოების ტექნიკური სპეციფიკაციები და ნახაზები მოცემულია მეხუთე (V) ნაწილში: „მოთხოვნები“. სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს ექვს (6) თვეს. აღნიშნული კონტრაქტის თანახმად შესასრულებელი დარჩენილი სამუშაოები მოიცავს, თუმცა არ არის შეზღუდული, შემდეგს:

- საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
- ანძების აღმართვა;
- სადენების და ოპტიკურ-ბოჭკოვანი მეხ-დამცავი გვარლის (OPGW) გაჭიმვა;
- ფერდობის გამაგრების სამუშაოები;
- ეროზიისგან დაცვის სამუშაოები;
- არსებული მისასვლელი გზების რეაბილიტაცია;
- დარჩენილი სამუშაოების დასრულებისთვის საჭირო ტექნიკური მასალების და მოწყობილობების უზრუნველყოფა (საჭიროების შემთხვევაში).

4. ტენდერში მონაწილოების მიღება კონტრაქტებისთვის, რომელთა დაფინანსება გათვალისწინებულია ბანკის სასესხო სახსრების ნაწილით, ღიაა ნებისმიერი ქვეყნის კომპანიებისთვის.

5. თითოეული კონტრაქტის მინიჭებისთვის აუცილებელია, რომ ტენდერის მონაწილეებმა არსებითად დააკმაყოფილონ ქვემოთ წარმოდგენილი მინიმალური კრიტერიუმები:

(a) **საშუალო წლიური ბრუნვა**
მინიმალური საშუალო წლიური ბრუნვა უნდა შეადგენდეს 3,000,000 (სამ მილიონ) ევროს, ბოლო ორი (2) წლის განმავლობაში;

(b) **გამოცდილება**
ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში, მინიმუმ ორი (2) კონტრაქტის განხორციელების გამოცდილება, კონტრაქტორის, ან ქვე-კონტრაქტორის სტატუსით. თითოეული კონტრაქტის ფასი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 1,500,000 ევროს (მილიონ ხუთასი ათასი). აღნიშნული კონტრაქტები წარმატებულად და არსებითად უნდა იყოს დასრულებული და უნდა იყოს შემოთავაზებული სამუშაოების მსგავსი. მსგავსება დაფუძნებული უნდა იყოს სამუშაოების ხასიათსა და სირთულეზე, მეხუთე (V) ნაწილში („მოთხოვნები“) მოცემული სამუშაოების შესაბამისად. ხელშეკრულებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა სავალდებულოა.

(c) **საჭირო აღჭურვილობა**

#	აღჭურვილობის ტიპი და მახასიათებლები	მინიმალური რაოდენობა
1	5 ტ ჯალამბარი და 25 ტ მეტალის დერიკ-ამწე	2
2	ავტო ამწე	2
3	ავტო-მზიდები	4
4	ბულდოზერი	2
5	პერსონალის და მასალის ტრანსპორტირების საშუალებები	4
6	ექსკავატორები მინიმუმ 130 კვტ	2
7	მოძრავი ბეტონის ქარხანა	1
8	ბეტონის ავტო-თვითმცლელი	1
9	სადენების გამჭიმი კომპლექტი	2
10	საჰაერო ელ. გადამცემი ხაზების გამჭიმი/დასაჭიმი მოწყობილობა	1
11	ლიდერ გვარლი სადენისა და გვარლისთვის (OPGW)	10 კმ/2 კმ
12	ორმაგი გორგოლაჭის კომპლექტი სადენისთვის	50 ანძის კომპლექტი
13	ერთმაგი გორგოლაჭის კომპლექტი (OPGW)-სა და გვარლისთვის	50 ანძის კომპლექტი
14	საჰაერო ელ. გადამცემი ხაზის დაერთების კომპლექტი + ოპტიკურ-იმპულსური რეფლექტო-მეტრი	1
15	გრუნტის სატკეპნი 20ტ	1

(d) **წამყვანი სპეციალისტების ძირითადი ჩამონათვალი**

(a) პოზიცია	კვალიფიკაცია	გამოცდილება
პროექტის დირექტორი	ელექტრო-ინჟინერია/ პროექტის მართვა საჰაერო ელ. გადამცემი ხაზების, მათ შორის 500 კვ-მდე ელ. გადამცემი ხაზების პროექტებზე მუშაობის წარმატებული გამოცდილება	15 წელი (მთლიანი სამუშაო გამოცდილება) და მსგავსი სახის სამუშაოების შესრულების 10-წლიანი გამოცდილება
პროექტის რეზიდენტი მენეჯერი	ელექტრო-ინჟინერია/ პროექტის მართვა საჰაერო ელ. გადამცემი ხაზების, მათ შორის 500 კვ-მდე ელ. გადამცემი ხაზების პროექტებზე მუშაობის წარმატებული გამოცდილება	15 წელი (მთლიანი სამუშაო გამოცდილება) და მსგავსი სახის სამუშაოების შესრულების 10-წლიანი გამოცდილება
ობიექტის რეზიდენტი მენეჯერი	ელექტრო-ინჟინერია/ პროექტის მართვა საჰაერო ელ. გადამცემი ხაზების, მათ შორის 500 კვ-მდე ელ. გადამცემი ხაზების პროექტებზე მუშაობის წარმატებული გამოცდილება	15 წელი (მთლიანი სამუშაო გამოცდილება) და მსგავსი სახის სამუშაოების შესრულების 10-წლიანი გამოცდილება
ელ. გადამცემი ხაზის სპეციალისტი	ელექტრო-ინჟინერია/ სამოქალაქო მშენებლობა საჰაერო ელ. გადამცემი ხაზების, მათ შორის 500 კვ-მდე ელ. გადამცემი ხაზების პროექტებზე მუშაობის წარმატებული გამოცდილება	20 წელი (მთლიანი სამუშაო გამოცდილება) და მსგავსი სახის სამუშაოების განხორციელების 10-წლიანი გამოცდილება
ელ. გადამცემი ხაზის კონსტრუქტორი	ელექტრო-ინჟინერია / სამოქალაქო მშენებლობა საჰაერო ელ. გადამცემ ხაზების, მათ შორის 500 კვ-მდე ელ. გადამცემი ხაზების პროექტებზე მუშაობის წარმატებული გამოცდილება	20 წელი (მთლიანი სამუშაო გამოცდილება) და მსგავსი სახის სამუშაოების განხორციელების 10-წლიანი გამოცდილება
ინჟინერ-გეოტექნიკოსი	გეო-ტექნიკური ინჟინერია / სამოქალაქო მშენებლობა საჰაერო ელ. გადამცემ ხაზების, მათ შორის 500 კვ-მდე ელ. გადამცემი ხაზების პროექტებზე მუშაობის წარმატებული გამოცდილება	10 წელი (მთლიანი სამუშაო გამოცდილება) და მსგავსი სახის სამუშაოების განხორციელების 5-წლიანი გამოცდილება
უფროსი გეოდეზისტი	ბაკალავრი ინჟინერი, საჰაერო ელ. გადამცემ ხაზებზე, მათ შორის 500 კვ-მდე ელ. გადამცემ ხაზებზე მუშაობის წარმატებული გამოცდილებით	10 წელი (მთლიანი სამუშაო გამოცდილება) და მსგავსი სახის სამუშაოების განხორციელების 5-წლიანი გამოცდილება
უსაფრთხოების, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის მენეჯერი	ინჟინერიის ბაკალავრი, საჰაერო ელ. გადამცემ ხაზებზე, მათ შორის 500 კვ-მდე ელ. გადამცემ ხაზებზე მუშაობის წარმატებული გამოცდილებით	10 წელი (მთლიანი სამუშაო გამოცდილება) და მსგავსი სახის სამუშაოების განხორციელების 5-წლიანი გამოცდილება

6. სატენდერო დოკუმენტები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, უსასყიდლოდ.

7. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების გარანტია **70,000 (სამოცდაათი ათასი) ევროს,** ან კონვერტირებად ვალუტაში აღნიშნული თანხის ეკვივალენტის ოდენობით.

8. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა უნდა მოხდეს ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, არა უგვიანეს **2018 წლის 26 ნოემბრის 15:00 საათისა (ადგილობრივი დროით),** რა დროსაც მოხდება სატენდერო წინადადებების გახსნა, ტენდერის მონაწილეების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას.

9. შესყიდვების მოქმედი წესებია: ბანკის შესყიდვების პრინციპები და წესები (PP&R), რაც განთავსებულია შემდეგ მისამართზე: www.ebrd.com/news/publications/policies/procurement-policies-and-rules.html

ტენდერის მომავალ მონაწილეებს სატენდერო დოკუმენტების და დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის საფუძველზე:

საკონტაქტო პირი: თეა ტორიაშვილი, დირექტორის მოადგილე პროექტების მართვის საკითხებში
დამკვეთი: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“/შპს „ენერგოტრანსი“
მისამართი: ბარათაშვილის ქ. #2, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2510315

info@energotrans.com.ge ; t.toriashvili@energotrans.com.ge

თარიღი: 12 ოქტომბერი, 2018 წელი

◎ კრიმინალი

როგორ დავკარგოთ მილიონები?

თორნიკე ოძრიაშვილის კრასნოდარელი თანაგუნდელი პაველ მამაევი, შესაძლოა, დიდი ფინანსური პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს, თუ კლუბი მასთან კონტრაქტს გაწყვეტს.

„კრასნოდარმა“ უკვე შეიტანა რუსეთის საფეხბურთო კავშირში განცხადება, რომლითაც ფეხბურთელთან სასწრაფოდ კონტრაქტის შეწყვეტას ითხოვს დისციპლინის ხშირი დარღვევის გამო.

საქმე ის არის, რომ მამაევის კონტრაქტში ერთი „პატარა“ პუნქტი ყოფილა, რომლის მიხედვითაც, თუ კლუბი მასთან ხელშეკრულებას დისციპლინური პრობლემების გამო შეწყვეტს, ფეხბურთელი ვალდებული იქნება მას 30 მილიონი ევრო გადაუხადოს.

შეგახსენებთ, რომ 8 ოქტომბერს მამაევმა და „ზენიტის“ მოთამაშე ალექსანდრე კოკორინმა მოსკოვში სხვადასხვა ადგილზე ორი მოქალაქე სასტიკად სცემეს, რის შემდეგაც დაზარალებულები საავადმყოფოებში აღმოჩნდნენ. აღძრულია სისხლის სამართლის საქმეც.

გიორგი შოთაძე

◎ გუტაფორია

რომელი საუკუნეა?!

ზოგადად მმართველობა და სიტყვა პრეზიდენტი ჩვენთან ლამის სალანძღავ სიტყვად გადააქციეს, რადგან საქმის კეთებით არ არიან დაინტერესებულნი. ამ შემთხვევაში საფეხბურთო გუნდის პირველი პირი მყავს მხედველობაში. ყველამ კარგად ვიცით, რომ საფეხბურთო გუნდის საქმიანობა მოითხოვს გუნდში ინფრასტრუქტურის პროექტების, საფეხბურთო მენეჯმენტის ღრმა ცოდნას და ანალიზს, სულ მცირე 4-5-წლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელებას. მოკლედ, ვინც შრომობს, შეცდომებისგან ვერ იქნება დაზღვეული. ზემოთ ნახსენები პროექტების განსახორციელებლად საჭირო არის თანხების მოზიდვა და მისი მიზნობრივი ხარჯვა. იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ დღევანდელი მდგომარეობით კლუბის პირველი პირები არსებულ თანხებს სწორი მიმართულებით არ ხარჯავენ. ჩვენი ფეხბურთის ფუნქციონერებმა სახელფასო ფონდიდან ჩამორიცხული ფულის განკარგვის არსი მხოლოდ ხელფასების დარიგებად გაიგო. მის იქით ფიქრიც აღარ უნდათ, სპონსორების მოზიდვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეს არის მწარე რეალობა. ყველას ერთ ქვაბში ვერ მოვხარშავთ — გამონაკლისები თითზე ჩამოსათვლელნი არიან.

კლუბის ხელმძღვანელობის სამოქმედო გეგმა დღევანდელ პირობებში ძალიან მარტივია — უპირველესად კლუბში ახლობლების და სახელისუფლებო შტოებიდან გამოგზავნილი ხალხის დასაქმება არის მიჩნეული. შემდგომ იმ ფეხბურთელებით გუნდის დაკომპლექტება, რომლებიც ნაკლებ თანხას მოითხოვენ. ამიტომ არის, რომ ყოველ მოახლოებულ სეზონს იმედის თვალით შეჰყურებენ, რადგან ფულის ხარჯვაზე კონტროლი არ არსებობს და რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს ასეთ ფულზე. როცა დაბალი ლიგის გუნდების სტრუქტურაში 15-20 კაცი არის „დასაქმებული“, უფრო სწორად — გაფორმებული, ფულის სწორ განკარგვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ქართული ფეხბურთის უკუღმართობა არის დაბალი დონის სამწვრთნელო კადრები. წინსვლაზე და განვითარებაზე არავინ ფიქრობს და ყველა ცდილობს, თავი აარიდოს სარასასიამოვნო შეკითხვებს.

ცნობილი ჰოლანდიელი მწვრთნელი იოჰან კრუიფი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში საფეხბურთ კლუბის მმართველობაში დამკვიდრებულ მახინჯ ფორმებზე ასე ამბობდა:

„იქ, სადაც დიდი ფული ტრიალებს, უამრავი ნაძირალა და მავნებელი იყრის თავს“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნულ ლიგაში მილიონები არ იხარჯება, 300 000 ლარის უკვალოდ გაქრობა ჩვენ ყოფით პირობებში მაინც დიდი თანხაა და მის არამიზნობრივ ხარჯვას მივყავართ უფსკრულისაკენ, რადგან გარკვეულ წილად ყველაფერი დამოკიდებულია იმ ადამიანის პირად თვისებებზე, რომლის ხელშიც არის საფეხბურთო გუნდის მართვის ბერკეტები. რა გასაკვირია, რომ ქართულ ფეხბურთში წესიერი ხალხის დეფიციტია, ვინც სწორი მიმართულება უნდა მისცეს ფეხბურთში ჩადებულ თანხას. მოკლედ, „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“ და დაფიქრების დროც გასულია. ვუშველოთ ქართულ ფეხბურთს, რომლის მმართველობას სამომავლოდ ბევრ უხერხულ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა.

ბეჟან ჩხეიძე,
ზესტაფონი

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ტრადიციის ერთგულნი

თიბისის რაგბის სერიები 2018-ის დაწყებამდე ერთი თვე რჩება. ესაა ტრადიცია, რომელსაც შარშან საქართველოს რაგბის კავშირმა და თი ბი სიმ ერთობლივად ჩაუყარეს საფუძველი. წელსაც, მოწინავე სარაგბო ქვეყნების მსგავსად, საქართველოს ნაკრების ნოემბრის ტესტ-მატჩებს სახელობითი სერიის სახე მიენიჭება და მის ფარგლებში „ბორჯღალოსნები“ სამ ტესტს გამართავენ.

10 ნოემბერს, სერიის პირველ მატჩში, საქართველოს ნაკრები იტალიას ფლორენციაში, „არტემიო ფრანკის“ სტადიონზე ეთამაშება;

17 ნოემბერს თბილისში თიბისი რაგბის სერიების პირველი საშინაო მატჩი გაიმართება, რომელშიც „ბორჯღალოსნები“ სამოას უმასპინძლებენ, ხოლო 2018 წლის თიბისი რაგბის სერიების დამაგვირგვინებელ შეხვედრაში საქართველოს ნაკრები ტონგას 24 ნოემბერს შეხვდება.

თი ბი სი ბანკში გამართულ პრეზენტაციაზე მედიას და საზოგადოებას თიბისის მარკეტინგის დირექტორმა ნინო ეგაძემ, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ და „ბორჯღალოსანთა“ თავკაცმა მილთონ ჰეიგმა მიმართეს.

ნინო ეგაძე: „დღეს განსაკუთრებული დღეა. თი ბი სი რაგბის სერიების დაწყებამდე ერთი თვე დარჩა და გულშემატკივარმა დღეების ათვლა დაიწყო. თი ბი სისა და რაგბის კავშირის მეგობრობა წლებს ითვლის და შემოდგომის სერიების თი ბი სის ეგიდით ჩატარება უკვე ტრადიციად იქცა.

იტალიისა და საქართველოს ნაკრებების შეხვედრას ყველა მოუთმენლად ელოდება და ჩვენც განსაკუთრებულად ვემზადებით. თი ბი სი იტალიისკენ დაახლოებით 1000-კაციანი დელეგაციით მიემგზავრება. ვიცით, რომ ფლორენციაში კიდევ რამდენიმე ათასი ქართველი იქნება და ვფიქრობ, ის დიდი მუხტი, რომელიც ტრიბუნებზე შეიქმნება, აუცილებლად დაეხმარება ჩვენს გუნდს“.

გოჩა სვანიძე: „თიბისი ბანკი ჩვენი საიმედო პარტნიორია და ეს მეგობრობა წლებია გრძელდება. თი ბი სი რაგბის სერია, რომელიც შარშან დაიწყო, ტრადიციად იქცა. ჩვენ ამ მეგობრობას პასუხი გამარჯვებებით უნდა გავცეთ. საქართველოსა და იტალიის ნაკრებების შეხვედრას არა მხოლოდ საქართველოში, მთელს მსოფლიოში ელიან. გველის ორი საშინაო თამაშიც საქართველოში. ადგილი ჯერ დაუზუსტებულია და არაა გამორიცხული, რომ გეოგრაფია გავზარდოთ. ნოემბრის სერიას მობილიზებული ვხვდებით და დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება“.

მილთონ ჰეიგი: „თიბისი სერია მნიშვნელოვანია როგორც სპორტული, ასევე ჩვენი ურთიერთობის გაგრძელების კუთხით. მთელი ნაკრების სახელით მინდა მადლობა გადავუხადო თიბისის, როგორც მეგობარს და პარტნიორს. წინ გველის მატჩი იტალიასთან და ორი ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა სახლში. ზაფხულის ტესტებზე კარგად ვერ გამოვიყურებოდით და მნიშვნელოვანია, რომ მომავალი თამაშები შინ სამოასთან და ტონგასთან მაღალ დონეზე ჩავატაროთ“.

ინფორმაცია 2018 წლის თიბისი რაგბის სერიების საშინაო მატჩების სტადიონებისა და ბილეთების შესახებ დამატებით მალე გამოქვეყნდება.

იტალიას ისტორიაში მეოთხედ, 15-წლიანი პაუზის შემდეგ კვლავ სტუმრად შევხვდებით. პირველად ამ მეტოქეს 1998 წელს ლაკვილაში, 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპის მატჩში შევხვდით და მასპინძლებმა 31:14 იმარჯვეს. 2000 წელს ექვსი ერის ზღვარზე მყოფმა იტალიამ ლივორნოში მიგვიღო და 51:7 მოგვიგო.

„აძურას“ ბოლოს 2003 წელს ვეთამაშეთ. მაშინ გუნდები მსოფლიო თასისთვის ემზადებოდნენ და ასტიში მაყურებელმა დაძაბული ბრძოლა იხილა, შეხვედრა კი იტალიის ნაკრების 9-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა — 31:22.

მომავალი შეხვედრა 10 ნოემბერს ფლორენციაში, საფეხბურთო კლუბ „ფიორენტინას“ სტადიონზე, „არტემიო ფრანკიზ“ გაიმართება, რომელიც 1931 წელს აშენდა, 1990 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და 43 147 მაყურებელს იტევს.

„არტემიო ფრანკიმ“ საერთაშორისო სარაგბო მატჩს ორჯერ უმასპინძლა და იტალიელთა ისტორიული გამარჯვების მოწმეა: „აძურამ“ 2010 წლის 20 ნოემბერს ფლორენციაში ავსტრალია მიიღო და 14:32 დამარცხდა, ხოლო 2016 წლის 19 ნოემბერს სამხრეთ აფრიკას უმასპინძლა და ამ გუნდთან არსებობის ისტორიაში პირველი გამარჯვება იზეიმა — 20:18.

სადღეისოდ საქართველო და იტალია მსოფლიო რეიტინგში მეზობლად არიან. „ბორჯღალოსნები“ 73,13 ქულით მე-13 საფეხურს იკავებენ, ხოლო იტალია 72,56 ქულით მათ კვალში უდგას.

იტალიიდან შინ მობრუნებული „ბორჯღალოსნები“ 17 და 24 ნოემბერს თბილისში ორ ტესტ-მატჩს გამართავენ. 17 ნოემბერს საქართველოს სამოა მესამედ ეწვევა და ჩვენს გუნდთან მეხუთე მატჩს გამართავს.

კუნძულელებთან პირველი ნაცნობობა 2003 წელს, ავსტრალიაში გამართულ მსოფლიო თასზე შედგა. „ბორჯღალოსნები“ სარაგბო ელიტაში პირველ ნაბიჯებს დგამდნენ და ძლიერ მეტოქესთან ვერაფერს გახდნენ - 9:46.

განვითარების ეტაპების გავლის შემდეგ უკვე მოძლიერებულმა „ბორჯღალოსნებმა“ მეორე დონის ქვეყნის ნაკრებებთან ტესტ-მატჩების გამართვის უფლება მოიპოვეს და პირველი შეხვედრიდან 10 წლის თავზე, 2013 წლის ნოემბერში საქართველოს სამოა პირველად ეწვია. გიორგობა დღეს (23 ნოემბერს) ჩვენმა გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა და იმ მომენტისთვის რეიტინგში მე-8 ადგილზე გამაგრებული სამოა 16:15 დაამარცხა.

საქართველო სამოას საპასუხო ვიზიტით 2016 წელს ეწვია, აპიაში მეტოქეს არაფერი დაუთმო და შეხვედრა ფრედ — 19:19 დაასრულა.

იმავე წლის ნოემბერში სამოელებს მეორედ ვუმასპინძლეთ თბილისში. თამაში ამჯერადაც „მიხეილ მესხზე“ გაიმართა და დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება კვლავ ქართველებს დარჩათ - 20:16.

ამრიგად, სამოასთან, რომელიც დღეისათვის მსოფლიო რეიტინგში მე-16 ადგილს იკავებს (68,28 ქულა), ჩვენს გუნდს დადებითი ბალანსი აქვს — 2 მოგება, 1 ფრე და 1 მარცხი.

სამოას კვალდაკვალ 24 ნოემბერს კიდევ ერთ კუნძულელს, ტონგას ვეთამაშებით, რომელთანაც განვლილ წლებში უკვე 6 ტესტ-მატჩი მოგვიგროვდა.

მათთან პირველად გასული საუკუნის მიწურულს, 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ეტაპზე გადავიკვეთეთ. 1999 წლის მარტში ტონგას პირველად და უკანასკნელად ვეთამაშეთ მათ მშობლიურ ნუკუჰალოფაში და მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა — 37:6. სამი კვირის თავზე კუნძულელები თბილისში საპასუხოდ გვეწვივნენ და მომწიფების გზაზე შემდგარმა „ბორჯღალოსნებმა“ რევანში აიღეს, ოღონდ მეტოქეს მინიმალურად სძლიეს (28:27) და ორი მატჩის ჯამში 1999 წლის მსოფლიო თასზე ტონგა გავიდა.

2014 წლის ნოემბერში ტონგა მეორედ ეწვია თბილისს და ტესტ-მატჩში 23:9 იმარჯვა, თუმცა ერთი წლის თავზე, 2015 წლის მსოფლიო თასზე, გლოსთერში სულ სხვა „ბორჯღალოსანთა“ პირისპირ აღმოჩნდა და საქართველოს ნაკრებმა 17:10 მოგებით ისტორიულ შედეგს (მსოფლიო თასზე ორი მოგება) ჩაუყარა საფუძველი.

მას შემდეგ საქართველომ მეტოქე კიდევ ორჯერ დაამარცხა და ორივეჯერ ნეიტრალურ მოედანზე, ტონგას მეზობელი ფიჯის ქალაქ სუვაში. 2016 წლის წყნარი ოკეანის წარმატებული ტურნეს ფარგლებში მილთონ ჰეიგის შეგირდებმა მეტოქეს 23:20 სძლიეს, ხოლო ამა წლის ივნისში, უკვე წყნარი ოკეანის თასის ფარგლებში „ბორჯღალოსნებმა“ ტონგას 16:15 სძლიეს და ამ მეტოქესთან დადებითი ბალანსი გაიმყარეს — 4 მოგება და 2 მარცხი.

მიუხედავად ამისა, 2018 წლის ნოემბრის ტესტებს ტონგა მსოფლიო რეიტინგში უკეთესი პოზიციით ხვდება — ის 73,84 ქულით მე-12 ადგილზეა.

კოგა კოგანიძე

ვის ანდობენ საკუთარ კეთილდღეობას ძლიერნი ამა ქვეყნისანი?

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რომელ ბანკებს ენდობიან საქართველოს მთავრობის წევრები. აძვთ თუ არა მინისტრებს ანგარიშები უცხოურ ბანკებში და რა თანხა ირიცხება მათ საბანკო ანგარიშებზე.

2018 წელს შევსებული დკლარაციით, რომელიც ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრობის პერიოდში შეავსო ამჟამინდელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **მამუკა ბახტაძემ, „საქართველოს ბანკის“** ანგარიშზე 8540 ლარი ერიცხებოდა. ამავე ბანკის საკრედიტო ანგარიშზე კი 0,73 ლარი. საქართველოს მთავრობის მეთაურს **„თიბისი ბანკის“** მიმდინარე ანგარიშზე 6,02 ლარი, შემნახველზე — 1,37 ლარი, **„ვითიბი ბანკის“** მიმდინარე ანგარიშზე კი 131 ლარი ერიცხებოდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ვიცე-პრემიერს **გიორგი გახარიას** დეკლარაციის შევსების მომენტში **„საქართველოს ბანკის“** მიმდინარე ანგარიშზე 6 020 ლარი ჰქონდა. ვიცე-პრემიერს მიმდინარე ანგარიში **„ვითიბი“** ბანკშიც ჰქონდა, თუმცა თანხა არ ერიცხებოდა. წლის დასაწყისში მინისტრის მეუღლეს მარიკა ფანცულაიას **„საქართველოს ბანკის“** სახელფასო ანგარიშზე 485 ლარი ჰქონდა, ხოლო დეპოზიტის ანგარიშზე 520 000 დოლარი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს **მაია ცძიტიშვილს** დეკლარაციის შევსების მომენტში **„საქართველოს ბანკის“** მიმდინარე ლარის ანგარიშზე თანხა არ ერიცხებოდა, ხოლო გირვანქა სტერლინგის ანგარიშზე 582 გირვანქა სტერლინგი ჰქონდა. ვიცე-პრემიერს მიმდინარე ანგარიში აქვს **„ქართუ ბანკშიც“,** სადაც თანხა არ ირიცხება. ცქიტიშვილის მეუღლეს **„საქართველოს ბანკში“** მიმდინარე დოლარის ანგარიშზე 4 949 დოლარი ჰქონდა, ლარის ანგარიშზე 11 924 ლარი, ხოლო გირვანქა სტერლინგის ანგარიშზე 523 გირვანქა სტერნლინგი. ხატიაშვილს **„საქართველოს ბანკის“** საკრედიტო ანგარიშზე 29 951 დოლარი ერიცხებოდა.

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს **გიორგი ძობულიას „სითი ბანკი მოსკოვის“** მიმდინარე დოლარის ანგარიშზე 50 დოლარი ჰქონდა, ამავე ბანკის რუბლის ანგარიშზე — 250 656 რუბლი, ხოლო ევროს ანგარიშზე — 14 971 ევრო. ქობულიას ამავე ბანკის ანაბარზე 699 დოლარი, 20 000 რუბლი და 112 520 ევრო ჰქონდა. მინისტრს **„საქართველოს ბანკის“** მიმდინარე ევროს ანგარიშზე 14, 780 ევრო ჰქონდა, ლარის ანგარიშზე 11 682 ლარი, 25 475 დოლარი და 44 040 გირვანქა სტერლინგი ერიცხებოდა. **„საქართველოს ბანკში“** დეპოზიტის სახით ჰქონდა 554 000 დოლარი, 500 000 ევრო და 160 000 გირვანქა სტერლინგი. მინისტრის მეუღლეს ოლგა კორსიკს **„საქართველოს ბანკი“** მიმდინარე ევროს ანგარიშზე 20 856 ევრო, 1 000 დოლარი, 3000 რუბლი, 57 გირვანქა სტერლინგი და 92 ლარი ჰქონდა, დეპოზიტზე კი 40 000 დოლარი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს **დავით ზალკალიანს** დეკლარაციის შევსების მომენტში **„თიბისი ბანკის“** სახელფასო ანგარიშზე 49 469 ლარი და 307 დოლარი ჰქონდა. მის მეუღლეს კი **„თიბისი ბანკში“** სახელფასო ანგარიშზე 404 ლარი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანს „თიბისი ბანკში“** მიმდინარე ანგარიშზე 7328 ლარი, 37 895 დოლარს და 9 484 ევროს ინახავდა, — **„ვითიბი ბანკის“** მიმდინარე ანგარიშზე 13 327 ევროს, 1549 გირვანქა სტერლინგს და 3,63 დოლარს. მინისტრს **„HSBC — ბანკის“** ანგარიშზე — 248 900 დოლარი ჰქონდა. რაც შეეხება მის მეუღლეს მაია აგიაშვილს **„საქართველოს ბანკში“** ანაბარზე 128 119 დოლარი და 50 000 დოლარი ჰქონდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს **მიხეილ ბატიაშვილს** დეკლარაციის შევსების მომენტში **„თიბისი ბანკის“** მიმდინარე ანგარიშზე 1396 ევრო ჰქონდა. **„საქართველოს ბანკის“** მიმდინარე ანგარიშზე კი 20 005 დოლარი და 10 131 ევრო. სახელფასო ანგარიშზე ბატიაშვილს 26 960 ლარი ერიცხებოდა. ბატიაშვილი **„საქართველოს ბანკის“** საკრედიტო ანგარიშზე 79 785 ლარს ინახავდა. მინისტრის მეუღლეს **„თიბისი ბანკის“** სახელფასო ანგარიშზე 579 ლარი ირიცხებოდა, ხოლო ანაბარზე 11 356 დოლარი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს **დავით სერგეენკოს „თიბისი ბანკის“** საკრედიტო ანგარიშზე 3 200 დოლარი, **„საქართველოს ბანკის“** სახელფასო ანგარიშზე კი 7 627 ლარი ჰქონდა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს **ლევან დავითაშვილს „თიბისი ბანკში“** დეპოზიტის ანგარიშზე 15 254 ლარი და 7 დოლარი ჰქონდა. მიმდინარე ანგარიშზე კი 320 ლარი. დავითაშვილი **„რესპუბლიკა ბანკის“** მიმდინარე ანგარიშზე ინახავდა 233 ლარს, ხოლო **„საქართველოს ბანკის“** სახელფასო ანგარიშზე 1674 ლარს. მინისტრის მეუღლეს თეა ფარქოსაძეს **„საქართველოს ბანკის“** მიმდინარე ანგარიშზე 5023 ლარი ერიცხებოდა საკრედიტოზე კი 5210 ლარი.

უნდა აღნიშნოს ისიც, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა **ლევან იზორიამ** დეკლარაცია ბოლოს 2017 წელს შეავსო. მაშინ მინისტრის **„საქართველოს ბანკის“** სახელფასო ანგარიშზე 3004 ლარი ირიცხებოდა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს **თეა წულუკიანს საქართველოს „ბანკის უნივერსალურ“** ანგარიშზე 1749 ლარი ჰქონდა, პრემიუმ ანაბარზე 900 ევრო, საბავშვო ანაბარზე 701 ლარი. **„ბანკი ქართუს“** საბარათე ანგარიშზე 66 თეთრი ერიცხებოდა. რაც შეეხება წულუკიანის მეუღლეს ნუგზარ კაკულიას **„ლიბერთი ბანკის“** ელექტრონულ საფულეზე 4 931 ლარი ჰქონდა.

საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს **ძეთევან ციხელაშვილს „თიბისი ბანკის“** სახელფასო ანგარიშზე 515 ლარი, 300 დოლარი და 87 ევრო ჰქონდა, ხოლო ანაბარზე 2241 დოლარი და 1030 ევრო ერიცხებოდა. რაც შეეხება მის მეუღლეს არმინ ჰუთენლოხერს „**Postbank nuernberg**-ში“ მიმდინარე ანგარიშზე 15 000 ევრო ჰქონდა.

ბაჩო ადამია

ქვიშხეთის ინციდენტის გამო ჩინელები დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გადამღები ჯგუფის ჟურნალისტის ეკა გაგუას და ოპერატორის ლევან კალანდიას მიმართ განხორციელებული ძალადობისა და ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ბრალდებით, 2 პირი: 1983 წელს დაბადებული ს.უ. და 1976 წელს დაბადებული ი.ც. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გადამღებ ჯგუფს, პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და საქმიანობაში ხელი უკანონოდ შეუშალეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სამართალდამცველებმა „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ სოფელ ქვიშხეთის ობიექტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ს.უ. და ამავე ორგანიზაციის თარჯიმანი ი.ც. დააკავეს.

საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება.

ირანის მოქალაქეები და „შავი ბუღალტერია“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად საქართველოში მცხოვრები ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეების მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტები გამოავლინეს.

გამოძიების ფარგლებში, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ხორციელდებოდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ტარდებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები ე.წ. „ჰავალას“ მეთოდით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების გამოსავლენად, რაც გულისხმობს საქართველოდან ირანის ისლამური რესპუბლიკის საბანკო სისტემაში ფულადი გზავნილების განხორციელებას აღნიშნული საქმიანობისთვის საჭირო ნებართვის გარეშე, ქართული საბანკო სისტემის გვერდის ავლით. ფულადი თანხების კონვერტაციისა და გადარიცხვის განმახორციელებელი პირები აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ დიდი ოდენობით შემოსავალს იღებდნენ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე თბილისში მდებარე, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეების ოფისებსა და საცხოვრებელ სახლებში ჩხრეკა ჩაატარეს, რის შედეგადაც ამოღებულია დიდი ოდენობით ფულადი თანხა, „შავი ბუღალტერია“ და ირანული წარმოების ტერმინალები, რითაც დადასტურდა გარემოება, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტებს.

ელიავას ბაზრობის ტერიტორიაზე ძლიერი ხანძარი იყო

თბილისი, აგლაძის ქუჩაზე მდებარე საწყობში ხის მასალა დაიწვა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცნობით, დამწვარია დაახლოებით 800 კვ. მ. ფართობი, მათივე ინფორმაციით, ხანძარი ლოკალიზებულია. ადგილზე მუშაობდა 17 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

სადაზღვევო კომპანია „ალფა“ აგლაძის ქუჩაზე, ელიავას ბაზრობაზე ხანძრის შედეგად დაზარალებულ დაზღვეულ მეწარმეებს ზარალს მაქსიმალურად მოკლე ვადებში აუნაზღაურებს, — ამის შესახებ კომპანია „ალფას“ გენერალურმა დირექტორმა კახაბერ დიასამიძემ განაცხადა. მისი თქმით, ბაზრობაზე „ალფას“ ბენეფიციარია 63 მეწარმე.

„ბაზრობა და მისი მეწარმეები, ვინც აქ საქმიანობდნენ, „ალფაში“ არიან დაზღვეულნი. შესაბამისად, „ალფას“ ხელმძღვანელობა მოტივირებულია, ყველა დანაკარგი, რაც ამ შემთხვევით დადგა, თითოეულ მათგანს მაქსიმალურად ოპერატიულად აუნაზღაუროს იმ ფარგლებში, რაც შესაბამისი კონტრაქტით იყო გათვალისწინებული. ამ ბაზრობაზე ჩვენი ბენეფიციარი არის 63 მეწარმე. თავად ბაზრობა, მისი ტერიტორიაც დაზღვეულია თავისი პასუხისმგებლობით. შესაბამისად ბაზრობის ადმინისტრაციას და თითოეულ ბენეფიციარს ჩვენ მაქსიმალურად მოკლე ვადებში ავუნაზღაურებთ ყველა დანაკარგს“, — განაცხადა კახაბერ დიასამიძემ.

გრიგოლ ვაშაძე – ძელზე და არა რუსთაველის ძეგლზე!

არჩევნების მეთვალყურე ორგანიზაციამ, „მრავალეროვანმა საქართველომ“ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის შექმნილ უწყებათაშორის კომისიას მიმართა საგიტაციო მასალების განთავსების წესების დარღვევაზე რეაგირებისთვის. ორგანიზაციის ინფორმაციით, ახალქალაქის შესასვლელთან, შოთა რუსთაველის ძეგლზე დარღვევითაა გაკრული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის პლაკატები. „მრავალეროვანი საქართველო“ აღნიშნავს, რომ ეს ტერიტორია არ შედის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ სააგიტაციო მასალების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების ჩამონათვალში. გარდა ამისა, „მრავალეროვან საქართველოს“ მიაჩნია, რომ ძეგლებზე საარჩევნო პლაკატების გაკვრა ძეგლების შეურაცხყოფა და საზოგადოების უპატივცემულობაა.

◎ პოლიტიკური სატირა შუმი გაცნეგის სატირლად

ფსევდოდემოკრატია!

არასამთავრობოები
და ზოგ-ზოგი პარტია
სარგებლობენ დროებით
და მოდაში „ანტია“!
თუკი დავემონებით
მტრისგან ნაყიდ გრანტიანთ,
ფუი, ამ გზით მოვლენილ
ფსევდოდემოკრატიას!

გვარამიას ტანაჯორი

ამ „რუსთავორს“ – „რუსკი ვორს“
ხან სკივრით, ხან უსკივროდ
სიბილწის და ჭორების
ახლავს ტანაჯორები,
ნიკა – ბიჭის ფაშიზმის
გებელსური სასინჯით
და მრავალი სხვა ხინჯით!

ალექსანდრე შენგელია.
ქუთაისიდან

ბრიტანეთის პარლამენტის მუშაობაში რობოტი ჩაერთვება

უცხოური მედიის ინფორმაციით, რობოტი Pepper-ი ბრიტანეთის საკანონმდებლო ორგანოს შეკრებას დაესწრება. გავრცელებული ინფორმაციით, რობოტი კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოვა, სადაც სამრეწველო რევოლუციაზე იქნება საუბარი.



აღსანიშნავია, რომ Pepper-ი 2014 წელს იაპონურმა კომპანია SoftBank-მა შექმნა. მას ორი HD კამერა, 4 მიკროფონი და მკერდზე სენსორული ეკრანი გააჩნია.

ჰონგ-კონგში ქართული ღვინის ფესტივალი გაიმართა

ღვინის ერთიანი სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Meiburg Wine Media“-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში ქართული ღვინის მწარმოებელი 17 კომპანია მონაწილეობდა.

ფესტივალს „Meiburg Wine Media“-ის მმართველი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი უძღვებოდა, რომელიც სტუმრებს ქართული ღვინის დაგემოვნების პარალელურად, მის კულტურასა და ისტორიას, ასევე თანამედროვე ქართული ღვინის ინდუსტრიას აცნობდა. ფესტივალი განსაკუთრებული ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. ღონისძიებას დაესწრნენ ღვინის იმპორტიორები, მაგისტრები, მედიის, რესტორნებისა და სასტუმროების ქსელების წარმომადგენლები. ფესტივალი მოიცავდა მასტერკლასებს, დეგუსტაციებს, პრეზენტაციებსა და სემინარებს.

ქართული ღვინო ჩინეთის, და ზოგადად აზიის ბაზარზე, განსაკუთრებული პოპულარობითა და ინტერესით სარგებლობს. საქართველომ, ბოლო 4 წლის განმავლობაში, ჩინეთის ბაზარზე იმპორტიორი ქვეყნების სიაში მე-18 ადგილიდან მე-9 ადგილზე გადაინაცვლა. ანალოგიურ ფორმატში ქართული ღვინის ფესტივალი 12 ოქტომბერს შანხაიში გაიმართება. დებრა მეიბურგის მიერ ორგანიზებული „ქართული ღვინის აზიის ტურის ფარგლებში“ ღონისძიებები მიმდინარე წლის ზაფხულში სამხრეთ კორეასა და სინგაპურში ჩატარდა. წლის ბოლომდე „ქართული ღვინის აზიის ტურის“ ფარგლებში, ქართული ღვინის დეგუსტაციები ჩინეთის ქალაქებში – მაკაოში, სიამენში, გუანჯოუსა და შენჭენში გაიმართება.

ფიქრთ გასართველად

სხვათაგან თქმული

მარიონეტები სცენიდან თავისით არ ჩამოდიან.

* * *

სულელი სულელობისგან იტანჯება, გრძენი – ჭკუის კოლოფებისგან.

* * *

უმიზეზო ზარი – სიყეყეჩის ნიშანია.

* * *

სიზარმაცემ დასვენება არ იცის.

* * *

ცოლი თუ ძაღლივით გექცევა, ესე იგი, ერთგული მეგობარი გყოლია.

* * *

ნამდვილად არ შეგვიძლია იმის გაგება, თუ სად მიფრინდება ქარისთვის გატანებული სიტყვა.

* * *

სანამ ზღაპრულად გიმართლებს, თავს გრიყვად არა გრძნობ.

* * *

თუ კაცი ხშირად გადადის ჭკუიდან, მაშასადამე, ჭკუის დაბალ დონეს გოროტად იყენებს.

* * *

წარწერა მიქსტურის ფლაკონზე: „გამოყენების წინ ავად გახდით!“

* * *

ტუალეტში: „ტყუილად ნუ ზიხარ, რამე იფიქრე მაინც!“

* * *

გვესაჭიროება სასაფლაოს მეთვალყურე. საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოს ადგილის მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის გამოწერისთვის შეგიძლიათ მიმართოთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

„ჯეომედია“
266-51-13; 599 209 526

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10; 599 797 679.

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6262; ევრო - 3.0199;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4556;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4322;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5494;
1000 სომხური დრამი - 5.4037.

ამინდი 12 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +26
მთიანი რაიონები -	ღამე +2,	დღე +18
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +14,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე +5,	დღე +29
თბილისი:	ღამე +12,	დღე +24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge